ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 22 თებერვალი, 2016 №43 (6969) ფასი: 50 თეთრი

## რაზე გაურიგდა სააკაშვილი ბურჭულაძესა და ჩერნოვეცკის?



ირაკლი ბათიაშვილი: „ნაციონალები დესტაბილიზაციას გეგმავენ“

გვ.2



# „კოალიცია „ქართული ოცნება“ უნდა დაიშალოს“

გვ.3



„დავუშვათ, შენარჩუნდა ეს კოალიცია ამ სახით და მათ მოიგეს არჩევნები. მერე წარმოგიდგენიათ, წინ რა გველოდება? მომავალი 4 წელი ქვეყანა უნდა მართონ ადამიანებმა, რომლებსაც ერთმანეთი ეზიზღებათ“



## გია ხუხაშვილი: „კვირიკაშვილს რესპუბლიკელებისთვის მხარდაჭერა არ გამოუცხადებია“



გვ.2

## ირაკლი ალასანია: „25 წელია, ფულს ერთი და იგივე ხალხი აკეთებს“



## ჯაბა ჯიშკარიანი: „ნაციონალებს უგულავას ცოლის ოპერაციების დაფინანსებას გავახსენებ“

გვ.6

## მარკესი: „იცხოვრო, რომ მოჰყვე“

წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ გვ.7



## გიორგი ჩიტაური: „ზაქარია ქუცნაშვილი კანონს არღვევს“

გვ.5



„ცოტა ხანში ჰაერზეც დააწესებენ გადასახადს“

გვ.4

## „ვინც სიმართლეს ლაპარაკობს, იმას „ქართული ოცნებიდან“ უშვებენ“



ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რაზე გაურიგდა სააკაშვილი ბურჭულაძესა და ჩერნოვეცკის?

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი აფასებს.







***– ბატონო ირაკლი, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ სიტუაცია დღითიდღე იძაბება, დაპირისპირება პიკს აღწევს. ამბობენ, რომ კოალიცია ვერ მიაღწევს ერთიანი სახით არჩევნებამდე. ეს არ აზარალებს ოცნებასა და ზოგადად სახელმწიფოს?***

– რასაკვირველია, ეს ქვეყნის იმიჯს საგრძნობლად აზარალებს. როდესაც მმართველ ძალაში ასეთი არასტაბილური ვითარებაა, ეს მთლიანად სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობაზეც აისახება და უარყოფით ზეგავლენას ახდენს მასზე. დღეს ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს ის პროცესი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს მმართველ კოალიციაში.

***– რატომ?***

– ეს არის სავსებით ლოგიკური. ეს არის შედეგი იმის, რაც თავის დროზე მოხდა.

***– რას გულისხმობთ?***

– კერძოდ, ვგულისხმობ იმას, რომ იმთავითვე ეს პოლიტიკური ძალები გაერთიანდნენ არა რაღაც იდეურ ნიადაგზე, არა რაღაც მრწამსისა და მსოფლმხედველობის ნიადაგზე, უბრალოდ, ისინი გაერთიანდნენ ერთი პიროვნების ირგვლივ, რომელმაც ისინი მოიყვანა ძალაუფლებაში. დღეს ისევ წინასაარჩევნო პერიოდია, ქვეყანაში გართულებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, სავსებით რეალურია, რომ დაიწყო რღვევა. თუმცა რღვევა უფრო ადრე დაიწყო.

***– როდესაც ალასანიას გუნდმა დატოვა ოცნების რიგები?***

– რასაკვირველია. ფაქტობრივად, მაშინ დაიწყო კოალიციის რღვევა. მათ საერთო არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან. ისინი, როგორც ვაგონები, ისე იყვნენ ჩაბმული ბიძინა ივანიშვილის პერსონას.

***– ამბობენ, რომ ოცნება კვლავ აპირებს უმრავლესობით მოსვლას და, თუკი აღარ იარსებებს კოალიცია ამ სახით, მაშინ რა იქნება?***

– მოვლენ თუ არა უმრავლესობით, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საერთოდ, როგორი იქნება მომავალი პარლამენტი, ამას დრო გვაჩვენებს, რამდენად გააქტიურდებიან ოპოზიციური ძალები, ვინ როგორ დაიწყებს საარჩევნო კამპანიის წარმართვას და ასე შემდეგ. დღეს მმართველი კოალიცია შინაგანად არამდგრადია, თუმცა, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, ასეა, რომ მმართველ ძალას არჩევნებზე აქვს დიდი უპირატესობა. ეს არის მისი სახელისუფლებო ბერკეტები, მისი ადმინისტრაციული რესურსი, რის იმედზეც ყოველთვის იყო მმართველი ძალა და, რასაკვირველია, ახლაც არიან.

***– რატომ იქცა რესპუბლიკური პარტია მიუღებელ ძალად საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის? გვესმის შეფასებები, რომ ის ნულპროცენტიანი პარტიაა და ასე შემდეგ.***

– მაგ კოალიციაში არცერთი არ არის დიდი პროცენტის მქონე პარტია. არც რესპუბლიკელები არიან და არც სხვები. რომელი მათგანი იყო დიდი რეიტინგის მქონე პარტია?! რესპუბლიკურ პარტიას გამოცდილება დიდი აქვს პოლიტიკური, გამოკვეთილი ლიდერიც ბევრი ჰყავს, რომლებმაც პოლიტიკაც იციან და ლაპარაკიც, პლუს გარედან აქვთ მხარდაჭერა საკმაოდ სერიოზული, დიდი კავშირები აქვთ დასავლეთთან, ამიტომ ცალსახად გასაგებია, რომ ეს პარტია საჭირო იყო კოალიციისთვის. როგორც ჩანს, ეს პარტია ახლაც საჭიროა ბიძინა ივანიშვილისთვის. ეს არის ფაქტი.

***– საუბრობთ, რომ შესაძლოა ოცნება ვერ მოვიდეს უმრავლესობით. ოპოზიციურ ფლანგზე გვგულებათ ისეთი ძალები, რომლებმაც შეიძლება ეს ძალა ჩაანაცვლონ?***

– რა თქმა უნდა, ოპოზიციაში არსებობს სერიოზული რესურსი და, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფდი ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ ძალას. მართალია, დღეს ის აქტიურად არ ჩანს ჩვენი ამომრჩევლის თვალთახედვაში, თუმცა, ვინმეს თუ აქვს რეიტინგის ზრდის პოტენციალი, ეს აქვს სწორედ ბურჯანაძის პოლიტიკურ ძალას. თუ ამ პოტენციალის რეალიზაცია და სრული გამოყენება მოხდა, ამ ძალას შეუძლია, დადოს სერიოზული შედეგი.

***– ფიქრობთ, რომ კოალიცია აღარ იქნება იმ სახით წარმოდგენილი, როგორითაც დღეს არის? თუ ის სერიოზულ ცვლილებებს განიცდის?***

– მე ვერ გეტყვით, კოალიცია ასეთი სახით იქნება, სხვა სახით იქნება, ეს თვითონ კოალიციის გადასაწყვეტია. გამოდის ხმები, რომ თავად ლიდერებში არის უკმარისობის გრძნობა და მათი სურვილია, მოხდეს კოალიციის გარდაქმნა, ტრანსფორმაცია, თუმცა დღეს ძალიან ძნელია რაღაც ახალი რესურსების მოძიება. ესეც დიდი პრობლემაა. მათ რომ რაციონალურად ეაზროვნათ, ვისთანაც უნდა ჰქონოდათ კონტაქტების დალაგების პირველი მცდელობა, ეს ისევ და ისევ ნინო ბურჯანაძის პარტია უნდა ყოფილიყო.

***– დღეს არის შანსი მათი ერთად ყოფნის?***

– შანსი უამრავი რამისაა. პოლიტიკაში ვერაფერს გამორიცხავ.

***– რაიმე სიურპრიზებს ხომ არ უნდა ველოდეთ წინასაარჩევნოდ?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ირაკლი ალასანია: „25 წელია, ფულს ერთი და იგივე ხალხი აკეთებს“



თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია რუსთავში ე.წ. სტამბოლის ბაზრის მოვაჭრეებს შეხვდა და მათ არსებული პრობლემები გამოჰკითხა.

მოვაჭრეები მყიდველის სიმცირეს უჩივიან და აცხადებენ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ვაჭრობა თითქმის შეჩერებულია, რასაც თან გარემოვაჭრეების პრობლემა ერთვის.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელის შეწყობაა.

– ყველა მეუბნება, რომ 1990-იანი წლების მერე ასეთი გაჭირვებული საზოგადოება არ ახსოვთ. პრაქტიკულად მყიდველი არ არის შემოსული. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხში ფული არ არის. მხოლოდ ერთი და იგივე ხალხი აკეთებს 25 წლის განმავლობაში ფულს მთელს ქვეყანაში. ეს პრობლემები ჯაჭვივით არის აცმული და მთავრობა ერთმანეთის ჭამასა და გინებაში ხარჯავს დროს, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მედიანიუსი

## გოგი თოფაძე თინა ხიდაშელზე: „ნაპოლეონი მყავს, სუვოროვი, კუტუზოვი თუ ვინ არის?“





– თინა ხიდაშელს ჩემთვის შეურაცხყოფა არ უნდა მოეყენებინა. ნაპოლეონი მყავს, სუვოროვი, კუტუზოვი თუ ვინ არის? კაცო, გამაგებინეთ, თავი მოგვჭრა, – განაცხადა მრეწველების ლიდერმა გოგი თოფაძემ პრესკონფერენციაზე.

გოგი თოფაძემ საგარეჯოში გამართული შუალედური არჩევნები გაიხსენა და აღნიშნა, რომ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი არაკორექტულად მოიქცა, როდესაც საგარეჯოში 526 ჯარისკაცი ჩაიყვანა.

დეპუტატის თქმით, როდესაც ხიდაშელის თანაგუნდელი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ჯარისკაცები იმ რეგიონში ერთი წელია დგანან, ეს არის ტყუილი და სიყალბე.

საერთოდ, დავით ბერძენიშვილს ძალიან გაუვიდა თავს. პარტიის პოლიტიკური ლიდერი უნდა უფიქრდებოდეს, რომ საზოგადოებას ასეთი ტყუილი და სიყალბე არ უნდა აკადროს. როცა პოლიტიკოსი საჯაროდ გამოდის, ცოტა უნდა დაუფიქრდეს, რომ საზოგადოებაში მისმა განცხადებებმა ირონიული ღიმილი არ გამოიწვიოს,“ – განაცხადა თოფაძემ.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის პოზიციას, გოგი თოფაძე ამბობს, რომ პრემიერს კორექტული განცხადება ჰქონდა და ის იღებს მისგან შენიშვნას.

– მან გააკეთა დელიკატური განცხადება, რაც უნდა ეთქვა. რბილად თქვა, ასეც უნდა ეთქვა. მე მივიღე მისი შენიშვნა, თუმცა ჩემს აზრზე ვრჩები. თუ ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართ და ასეთი დარღვევა შეიძლება იკადროს მინისტრმა, რა, ნაპოლეონი მყავს, სუვოროვი თუ კუტუზოვი, კაცო, გამაგებინეთ, თავი მოგვჭრა. ბევრჯერ დაგვხვდება ჩვენ ეს დარღვევა, იმიტომ, რომ ბევრი არჩევნები გველის წინ და ყველგან წამოგვაყვედრებენ ამას, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

მედიანიუსი

## ლევან მამალაძე პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს

მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებში ახალი პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლება“ მონაწილეობას გეგმავს.



რუსთავი 2-ის ცნობით, პარტიის წევრების ბრიფინგზე სკაიპის საშუალებით დონბასიდან ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ლევან მამალაძე ჩაერთო, რომელიც პარტიის თანამოაზრე და მხარდამჭერია.

მამალაძე ამბობს, რომ მოსახლეობას ახალი პოლიტიკური ძალა სჭირდება, რომელიც მათ პრობლემებს მოაგვარებს და ასეთი ძალა სწორედ „სახალხო ხელისუფლება“ იქნება.

ახალი პოლიტიკური გაერთიანების თანამოაზრეა სულხან მოლაშვილიც, რომელიც მომავალში პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებას გეგმავს.

ნიუსპრესი

## ელისო ჩაფიძე: „მომავალ პარლამენტში, სავარაუდოდ, აღარ ვიქნები“

– მომავალ პარლამენტში, სავარაუდოდ, აღარ ვიქნები, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ელისო ჩაფიძემ ტელეკომპანია ,,პირველის“ ეთერში.



მისი თქმით, საკუთარი გადაწყვეტილების თაობაზე მან კოალიციის ლიდერს, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს 14 იანვარს საგურამოში გამართულ შეხვედრაზე აცნობა.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიზეზს, როგორც დეპუტატი ამბობს, ეს უკავშირდება მის მიერ ტყიბულელებთან დაკავშირებით საკანონმდებლო პროექტების გაუთვალისწინებლობას.

– პარლამენტში ყოფნა ნიშნავს გადაწყვეტილებების მიღებას და ნიშნავს იმას, რომ შენ გაქვს ძალიან დიდი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. მე არ მინდა, რომ ფიქცია იყოს ჩემი საქმიანობა, – ამბობს ტყიბულის მაჟორიტარი.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ არ შესრულდება მისი მოთხოვნები ტყიბულელების პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით და თუ არ მიეცემა ტყიბულს მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი და მეშახტეებს საგადასახადო შეღავათები, ის პარლამენტს დატოვებს.

– მე არ დავბადებულვარ პარლამენტში და არც აქ სიკვდილს ვაპირებ და არც იმისათვის არ მოვსულვარ პარლამენტში, რომ ჩუმად დავმჯდარიყავი, – ამბობს დეპუტატი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „კოალიცია „ქართული ოცნება“ უნდა დაიშალოს“

შორენა მარსაგიშვილი

ვის პოზიციას ახმოვანებს გოგი თოფაძე, რას მოიმოქმედებს ივანიშვილი, რატომ გადაიქცნენ ხელისუფლების წევრები პარაზიტებად, ვის ვიხილავთ მმართველი კოალიციიდან მომავალ პარლამენტში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ მრეწველებისა და რესპუბლიკელების დაპირისპირების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და გოგი თოფაძე მის პოზიციებს ახმოვანებს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– ეს მოსაზრება, ჩემი აზრით, შეთქმულების თეორიის ჟანრიდან არის. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის დარეგულირება ბიძინა ივანიშვილს მოუწევს, ის ამ პროცესებში არ მონაწილეობს.

***– თავად დაპირისპირებაზე რას იტყვით, საქმე გვაქვს პარტიების დაპირისპირებასთან თუ პიროვნულ უთანხმოებასთან? ზოგიერთი ლიდერი ამტკიცებს, რომ მრეწველები და რესპუბლიკელები შესანიშნავად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.***

– აქ უფრო სისტემურ უთანხმოებასთან გვაქვს საქმე. ამ პარტიებს შორის კონფლიქტი კოალიციის შექმნის დღიდან არსებობს. არავისთვის უცხო არაა, რომ მმართველ გუნდში ერთიანი მსოფლმხედველობა არ არის. ისინი მხოლოდ ერთი ნეგატიური ამოცანის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ეს ნეგატიური ამოცანა ასეთი იყო – ყველა ერთის წინააღმდეგ. მათ ნაციონალების რეჟიმი უნდა დაემარცხებინათ.

როდესაც ასეთ მძიმე ბრძოლაში შედიხარ, მაშინ მსოფლმხედველობას ყურადღება არ ექცევა, ხოლო როცა საქმე ქვეყნის მართვაზე მიდგება, მაშინ ასეთი მყიფე გაერთიანებები, საერთო ჯამში, მძიმე სურათს ქმნის. ხელისუფლებას, რომლის წევრებიც ვერცერთ პრინციპულ საკითხზე ვერ თანხმდებიან, გადაწყვეტილებების მიღება უჭირს. ამიტომაც ვერაა ეს ხელისუფლება ეფექტური.



**კვირიკაშვილს რესპუბლიკელებისთვის მხარდაჭერა არ გამოუცხადებია**

ეს დაპირისპირება, როგორც უკვე აღვნიშნე, თავიდანვე არსებობდა. ის საჯარო არჩევნების მოახლოებამ გახადა. პარტიები მზის ქვეშ თავიანთ ადგილს ეძებენ. აქ ერთი სერიოზული ხარვეზი რომ არ ყოფილიყო, ეს უთანხმოება ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა.

***– რა ხარვეზზე საუბრობთ?***

– ეს ხარვეზი ამ უთანხმოებას ძალიან არაჯანსაღ ელფერს სძენს. არცერთ მოდავე მხარეს არ გააჩნია საკუთარი პოლიტიკური კაპიტალი. როგორც რესპუბლიკელების, ასევე მრეწველების ამბიციები არასათანადოა იმ მხარდაჭერასთან, რომელიც მათ ამომრჩევლისგან აქვთ. აქამდე თუ 3-4% ჰქონდათ, ისიც მიფანტ-მოფანტეს და გაანულეს. ფაქტობრივად, ისინი ბიძინა ივანიშვილის ზურგზე პარაზიტირებენ.



იგივე შემიძლია ვთქვა კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებზეც. ეს სუბიექტები იმისთვის კი არ იღვწიან, რომ ხალხის თვალში ავტორიტეტი მოიპოვონ, არამედ ისინი ეზომებიან ერთადერთ ადამიანს და ცდილობენ, მის მხრებზე რაც შეიძლება მეტი ადგილი გაიფართოონ.

ასეთი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის მიმართ ძალიან უსამართლოა. რა გამოდის, რომ ეს ადამიანები მიეჩვივნენ ხელისუფლებაში ყოფნას, მათი ამბიციები უკიდეგანოდ გაიზარდა და ლამის საკუთარ თავთან აიგივებენ ქვეყნის განვითარებას. არაკორექტულად იქცევა თოფაძის მხარეც, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ის საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციას გამოხატავს. ისევე, როგორც მრეწველებისთვის, მათთვისაც მიუღებელია რესპუბლიკელები.

***– მათთვისაც თუ მიუღებელია რესპუბლიკური პარტია, ხმას რატომ არ იღებენ?***

– ეს მათ უნდა ვკითხოთ. მრეწველებისგან განსხვავებით, ამაზე ხმამაღლა არავის უსაუბრია, თუმცა შიდა საუბრები სულ არის. კოალიციის 80%-თვის რესპუბლიკური პარტია არის უცხო სხეული. რესპუბლიკელებსაც ეზიზღებათ დანარჩენი კოალიცია. ეს ცხადზე ცხადია და ყველამ იცის. ამ ხალხს ორი რამ აერთიანებს და არცერთი მათგანი არ არის სახელმწიფოებრივად გამართული და სწორი.

***– რა არის ეს ორი რამ, რაც მათ ერთად ყოფნას აიძულებს?***

– ეს არის საკუთარი უსუსურობის განცდა და მეორე, პარაზიტირება ივანიშვილის მხრებზე. ასეთი მიდგომა ქვეყანას სერიოზულად დააზიანებს. ყველამ დავინახეთ, რომ კოალიციაში შემავალი პარტიები, რბილად რომ ვთქვათ, ერთმანეთს ვერ იტანენ.

დავუშვათ, შენარჩუნდა ეს კოალიცია ამ სახით და მათ მოიგეს არჩევნები. მერე წარმოგიდგენიათ, წინ რა გველოდება? მომავალი 4 წელი ქვეყანა უნდა მართონ ადამიანებმა, რომლებსაც ერთმანეთი ეზიზღებათ.

***– შექმნილი ვითარებიდან რა გამოსავალს ხედავთ, კოალიცია ერთ-ერთმა დაპირისპირებულმა პარტიამ უნდა დატოვოს თუ ორივეს წასვლა ჯობია?***

– ეს კონფლიქტი არ არის ასეთი ვიწრო და მისი გადაწყვეტა ასე მარტივი არ იქნება. როგორც უკვე გითხარით, თოფაძემ რესპუბლიკელების მიმართ კოალიციის უმრავლესობის აზრი გაახმოვანა. შესაბამისად, ეს უთანხმოება უფრო მრავალწახნაგიანია.

„ქართული ოცნებისთვის“ თუ რაიმე მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავალს, მაშინ ეს კოალიცია მთლიანად უნდა დაიშალოს. შექმნის ვითარებაში ეს იქნებოდა ყველაზე მარტივი და სწორი გამოსავალი.

მასში შემავალ ყველა პარტიას აქვს იმის ამბიციები, რომ ყველაზე მაგრები არიან და მხოლოდ მათ შეუძლიათ ქვეყნის გადარჩენა. ჰოდა, ცალ-ცალკე მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. არჩევნების შემდეგ უკვე მსოფლმხედველობის ირგვლივ შექმნან კოალიციები. მომავალ პარლამენტში 7-8 ძალა გავა.

***– გამოდის, რომ თქვენ მეჭიაურის მოდელს უჭერთ მხარს. პირველად მან მოუწოდა ამბიციურ პარტიებს კოალიციიდან გასვლა.***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რაზე გაურიგდა სააკაშვილი ბურჭულაძესა და ჩერნოვეცკის?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– არც სიურპრიზებია გამორიცხული. შესაძლოა, ასეთი მდორე სიტუაცია დიდხანს აღარც გაგრძელდეს.

***– კერძოდ?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ისეთი მოვლენები შემოვარდეს, რომელსაც არ ველოდებით და რომელმაც სიტუაციის სრული აჭრა გამოიწვიოს.

***– არის ამის საფრთხე?***

– ხომ ნახეთ, არავინ ველოდებოდით, ისე უცებ დაიწყო რუსთავი 2-თან დაკავშირებული პროცესები, რომელმაც ლამის მთლიანად ამოაყირავა სიტუაცია, ლამის სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხეების წინაშე დაგვაყენა. ასე რომ, მე მოვლენების მსგავს განვითარებას არ გამოვრიცხავ.

***– რუსთავი 2-ს მაესტრო ხომ არ ჩაანაცვლებს ამ საქმეში?***

– არა. მაესტროში მიმდინარე პროცესები შიდა პრობლემებთან არის დაკავშირებული. მიდის შიდა კონფლიქტი მაესტროს მფლობელობასთან დაკავშირებით. შესაძლოა, გარეშე ფაქტორებიც ჩართული იყოს, მაგრამ ეს დამფუძნებლებს შორის არსებული უთანხმოებაა, რუსთავი 2-ის თემა კი სულ სხვა იყო. ნაციონალებს უნდოდათ, ქვეყანაში განევითარებინათ ისეთი პროცესები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მათ კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

***– როდესაც მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობთ, ეს ნაციონალებს უკავშირდება? მით უმეტეს, ისინი აცხადებენ, რომ შემოდგომაზე ხელისუფლებას გადაიბარებენ.***

– მიხეილ სააკაშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვის მთავარი მიზანია, აქ ორგანიზება გაუწიონ სიტუაციის სრულ დესტაბილიზაციას წინასაარჩევნოდ. მათ კარგად იციან, რომ

**ირაკლი ბათიაშვილი: „ნაციონალები დესტაბილიზაციას გეგმავენ“**



არჩევნების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსი არა აქვთ, კარგად იციან, რომ არჩევნების შემდეგ მათი წარმომადგენლობა პარლამენტში კიდევ უფრო შემცირდება.

***– ამიტომ დესტაბილიზაცია აწყობთ?***

– ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ამ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე არის ის, რომ ხელი შეუწყონ სწორედ დესტაბილიზაციის განვითარებას. ამისთვის რაღაცა მიზეზი აუცილებლად დასჭირდებათ. ნაციონალები ჭკვიანები არიან, „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან განსხვავებით, პოლიტიკაში კარგად ერკვევიან. მათ ისიც კარგად იციან, რომ თვითონ მომავალი რევოლუციური ტალღის ლოკომოტივად არ გამოდგებიან, რომელიც მათ სურთ მოიტანონ. ამიტომ ცდილობენ, წინა პლანზე წამოსწიონ ახალი სახეები. ხომ ხედავთ, მათი ხელშეწყობით უამრავი ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია გამოიჩეკა, ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა.

***– კონკრეტულად რომელს გულისხმობთ?***

– მიხეილ სააკაშვილი არ მალავს, რომ მას ჰყავს პოლიტიკურ სპექტრში თავისი ფარული მოკავშირეები და ასეთად თვლის, მაგალითად, ჩერნოვეცკის, პაატა ბურჭულაძეს და ასე შემდგომ. სააკაშვილი ამბობს, ჩვენიანები არიანო, ეს კი კითხვის ნიშნებს აჩენს. რატომ ბურჯანაძეზე არ ამბობს, ჩემი მოკავშირეაო?! მე არ ვამტკიცებ, რომ ასეა, მაგრამ რატომ თვლის სააკაშვილი მათ მოკავშირეებად, ეს კითხვის ნიშნებს აჩენს.

## ნინო ბურჯანაძე გრიგორი კარასინს შეხვდა



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციით, 2016 წლის 19 თებერვალს გაიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის შეხვედრა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან.

სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, საუბარი შეეხო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის აუცილებლობას.

დაწვრილებით ინფორმაციას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ავრცელებს.

**ნიუპოსტი**

## სანდრო ბრეგაძე: „გადადგომა ულტიმატუმით მაიძულეს“

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგომას თინა ხიდაშელს უკავშირებს, კერძოდ, ის საუბრობს საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. სანდრო ბრეგაძე ამბობს, რომ რესპუბლიკელები ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

– მე, ფაქტობრივად, მაიძულეს, რომ წავსულიყავი თანამდებობიდან. საქართველოს პრემიერ-მინისტრს საქართველოს სამარცხვინო თავდაცვის მინისტრმა, ქალბატონმა ხიდაშელმა 19 თებერვალს წაუყენა ულტიმატუმი, რომლის მიხედვითაც, თუ მე დავრჩებოდი თანამდებობაზე, საფრთხე შეექმნებოდა კოალიციის ერთობას. პრემიერმა მითხრა, რომ მე უნდა წავსულიყავი. მე ეს ტვირთი მოვხსენი და გადავდექი თანამდებობიდან, – განაცხადა სანდრო ბრეგაძემ „კურიერთან“.



სანდრო ბრეგაძემ საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით ფეისბუქის გვერდზე პოსტი გამოაქვეყნა და გიორგი კვირიკაშვილს მიმართა:

– საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს!!!! 2012 წელს როდესაც ჩვენ (ქართველმა ერმა) დავამარცხეთ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი უპირველესი მიზანი იყო, რომ საქართველოში არასოდეს გაყალბდებოდა არჩევნები. ეს მიზანი შესრულდა საპრეზიდენტო არჩევნებისას, ეს მიზანი შესრულდა ადგილობრივი არჩევნებისას და მთელს მსოფლიოს ვანახეთ, რომ ქართველებს შეგვიძლია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. საქართველოს სამარცხვინო თავდაცვის მინისტრმა ხიდაშელმა და რესპუბლიკურმა პარტიამ ეს მონაპოვარი წყალში ჩაყარა. მათ გააყალბეს არჩევნები საგარეჯოში, ჩაიდინეს გაუგონარი ტიპის დანაშაული და ის, რისთვისაც ვიბრძოდით, გააცამტვერეს. აუცილებელია დაიწყოს საგარეჯოში არჩევნების გაყალბების გამოძიება, ხოლო გაყალბებაში ეჭვმიტანილი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი გამოძიების დასრულებამდე გადაყენებულ უნდა იქნეს დაკავებული თანამდებობიდან. მოძრაობა ეროვნულები კატეგორიულად მოვითხოვთ სამარცხვინო გამყალბებლის თინა ხიდაშელის გადადგომას, – წერს სანდრო ბრეგაძე.

**ნიუპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ვინც სიმართლეს ლაპარაკობს, იმას „ქართული ოცნებიდან“ უშვებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი. ხელისუფლება ირწმუნება, რომ ეს არჩევნები სამართლიანი იქნება. ოპოზიცია ისევ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას მოითხოვს.**

**საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით ნოემბერში შიმშილობის ფართომასშტაბიანი აქციაც გამართა. პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ თუ მათი მოთხოვნები არ იქნა გათვალისწინებული, გაზაფხულზე შიმშილობის აქციას გააფართოებენ.**

პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი შიმშილობის განახლებას არ გამორიცხავს. ამასთან, ის ახალი ინიციატივითაც გამოდის. იგი მოუწოდებს ოპოზიციურ ძალებს, შექმნან ერთიანი ფრონტი ხელისუფლების წინააღმდეგ, ერთად მიიღონ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, რაც პარლამენტში მოხვედრის შემდეგ მათ საარჩევნო ცვლილებების გატარების საშუალებას მისცემს. ამის მერე, დაახლოებით სამ თვეში, უნდა დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც სუბიექტები ცალ-ცალკე იყრიან კენჭს.

**„ერთიანი ფრონტით უნდა შევიდეთ პარლამენტში, შევცვალოთ კანონმდებლობა, შემდეგ კი ახალი არჩევნები ჩავატაროთ“**

— ხელისუფლება თავისი ქმედებებით აქეთკენ გვიბიძგებს. ამ შემთხვევაში ხელისუფლებაც ველარ დარჩება უმოქმედოდ და პრეზიდენტი გახდება სამართლიანი არჩევნების გარანტი, — აცხადებს თარხან-მოურავი.

ერთიანი ფრონტის შექმნა მან ადრეც ახსენა. მაშინ ითქვა, რომ ფრონტი ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანებას არ გულისხმობს.

საარჩევნო საკითხები პატრიოტთა ალიანსმა აქციებზე მას შემდეგ წამოსწია, რაც 31 ოქტომბერს შუალედური არჩევნები ჩატარდა. პარტია აცხადებს, რომ საგარეჯოში გაიმარჯვა ირმა ინაშვილმა, რომელსაც შედეგები გაუყალბეს და გამარჯვებულად „ქართული ოცნების“ რესპუბლიკელი კანდიდატი თამარ ხიდაშელი უსამართლოდ დასახელდა.

ეს საკითხი დღესაც აქტუალურია. მრეწველთა ერთ-ერთი ლიდერი გოგი თოფაძე რესპუბლიკელებს სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა.

დავით თარხან-მოურავის აზრით, „ქართული ოცნების“ კოალიციაში არიან პატიოსანი ადამიანები, რომლებიც სიმართლეს ამბობენ და აღიარებენ, რომ საგარეჯოში არჩევნები გაყალბდა. ერთ-ერთი ასეთი სიმართლის მთქმელია სანდრო ბრეგაძე, რომელიც პარასკევს აიძულეს, მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გადამდგარიყო.



— ვინც სიმართლეს ლაპარაკობს, იმას უშვებენ. სიმართლის მთქმელები იჩაგრებიან და იდევნებიან დირექტორების — ხიდაშელისა და ბერძენიშვილების გამო, — ამბობს იგი.

სპა-ს ლიდერი აღნიშნავს, რომ საქართველოში პარტიები და პიროვნებები იყოფიან პატრიოტულ ძალებად და ისეთებად, რომლებიც ცდილობენ, ნებისმიერი გზით მოხვდნენ ხელისუფლებაში. ძალაუფლების მოსაპოვებლად ყველაფერზე ხელის მომწერებად იგი ასახელებს თინა ხიდაშელსა და ძმებ ბერძენიშვილებს. მისი თქმით, ისინი პროდასავლურობას იბრალებენ, სინამდვილეში კი დასავლურ ფასეულობებთან არაფერი აქვთ საერთო.

თარხან-მოურავის თქმით, რესპუბლიკელების ნაწილი პრორუსულობის იარლიყს სხვებს აწებებს.

— ეს ის ხალხია, რომელიც 20 წელიწადია ირიბად და ზოგჯერ პირდაპირ გვიხსნის, რომ სოხუმი და ცხინვალი ჩვენი არ არის. საბოლოო ჯამში, არაპირდაპირ გვეუბნებიან, რომ უნდა ვაღიაროთ სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა, რაც რუსეთის ინტერესია, — ამბობს პარტიის ლიდერი.

მისი თქმით, თინა ხიდაშელი მხილებულია არჩევნების გაყალბებაში, რაც დასავლურ აზროვნებას ეწინააღმდეგება.

# სახიფათოა თუ არა სირიელი ლტოლვილების მიღება

„დევნილთა პარტიის“ ლიდერი ლელა გულედანი სოზარ სუბარის განცხადებას ეხმიანება, რომლის მიხედვით, საქართველო სირიელ და ერაყელ ლტოლვილებს სტატუსს დაჩქარებული წესით ანიჭებს.

ლელა გულედანი მიიჩნევს, რომ საქართველოს უცხოელი ლტოლვილების მიღების ფინანსური ფუფუნება არ აქვს, მაშინ როდესაც დევნილების თავშესაფრით უზრუნველყოფა მრავალი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

გარდა ამისა, მისი თქმით, სირიელი დევნილებისთვის თავშესაფრის მინიჭება გარკვეულ საფრთხეებთან არის დაკავშირებული და ქვეყანამ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს.

— გამომდინარე იქიდან, რომ დევნილებისა და ლტოლვილების განსახლების სამინისტროა, რა თქმა უნდა, პირდაპირ ვალდებულებას იღებს ლტოლვილების მიღებასა და მათ განსახლებაზე, თავშესაფრის შეთავაზებაზე. სულ სხვა საკითხია რამდენად აქვს ფუფუნება სამინისტროს და ფინანსური რესურსი, რომ თავშესაფრით უზრუნველყოს სირიელი და ერაყელი ლტოლვილები. როდესაც სახელმწიფოს შიდა დევნილები ასეთ მდგომარეოაბში ყავს და მრავალი წლის განმავლობაშ მათ მუდმივი საცხოვრებელი ვერ მისცა, ნამდვილად არ გვაქვს ფუფუნება, უცხო დევნილები მივიღოთ და თავშესაფარი შევთავაზოთ, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტში



სამინისტროს დონორი ორგანიზაციებიც ეხმარებიან. სირიელი დევნილების თავშესაფარი ქვემო ქართლში არსებობს, თუმცა იქ მხოლოდ 100 ან მაქსიმუმ 150 თავშესაფრის მაძიებელი იმყოფება ანუ ფიზიკურად ჩვენ ამის შესაძლებლობა ნამდვილად არ გვაქვს, — განაცხადა ლელა გულედანმა მედიანიუსთან საუბარში.

„დევნილთა პარტიის“ ლიდერი სირიელ მიგრანტთა დაკავშირებულ ვითარებას უსვამს ხაზს და მაგალითად გერმანია მოჰყავს, სადაც, მისი თქმით, სამოქალაქო ომის ალბათობაა გაზრდილი.

— თუ გადავხედავთ ევროპის გამოცდილებას და ლტოლვილების მიღების პროცესს და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, უნდა გავაანალიზოთ რისკის ალბათობა. იგივე გერმანიაში რაც ხდება. იქ ძალიან ცუდი ვითარებაა, შეიძლება მედიით ყველაფერი ბოლომდე არ შუქდება, მაგრამ მყავს ახლობლები, რომლებთანაც ყოველდღიური კავშირი მაქვს და მათგან ვიცი, რომ გერმანია სამოქალაქო ომის პირას იმყოფება. გერმანელების შეიარაღება მიდის, თავად პოლიციაც კი უკვე უძლური ხდება ამ ყველაფრის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე ევროპა ლტოლვილების მიღების პროცესს ამკაცრებს, — აღნიშნა გულედანმა.

თუმცა, მისი თქმით, ჩვენ ამ პრობლემასთან ახლოსაც არ ვართ, ჯერ არც გაანალიზებას ვახერხებთ, თუ რა ხდება ევროპაში, ვასრულებთ იმ დავალებებს, რომლებიც ევროპიდან მოდის.

— ჩვენ, პირველ რიგში, სახელმწიფოს ინტერესები უნდა დავიცვათ. ეს კარგად უნდა იყოს გაანალიზებული და გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარე მიღებული. შედის თუ არა ეს ჩვენს ინტერესებში და რამდენად საფრთხის შემცველია ყოველივე ეს, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გადაწყვიტონ, იმუშაონ ამაზე, ანალიზი გაუკეთონ იმას, თუ რა ხდება ევროპაში, გერმანიაში. ამიტომ სიფრთხილე, მაქსიმალური სიფრთხილე გვმართებს. ყველაფერი უნდა გაანალიზდეს, თუ საჭირო გახდა, საზღვრებიც უნდა ჩაიკეტოს, ამასთან, მაქსიმალური დიპლომატიაც უნდა ვიხმაროთ, — აცხადებს ლელა გულედანი.

**მედიანიუსი**

# იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად სერგო მეთოფიშვილი აირჩიეს

მოსამართლეთა კონფერენციამ 213 ხმით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძის მიერ წარდგენილი კანდიდატურა — სერგო მეთოფიშვილი აირჩია.



ხმის მიცემის პროცედურაში 226 რეგისტრირებული მოსამართლე მონაწილეობდა, 18 ბიულეტენი გაუქმდა, დანარჩენმა 213-მა მოსამართლემ კი, ხმა სწორედ მეთოფიშვილის კანდიდატურას მისცა.

მეთოფიშვილმა მადლობა გადაუხადა მოსამართლეებს ნდობისთვის და აღნიშნა, რომ მოსამართლეების ეს გადაწყვეტილება მისთვის საპასუხისმგებლოა.

სერგო მეთოფიშვილი ბოლნისის მოსამართლედ მუშაობდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში ის ახალი დანიშნულია.

**მედიანიუსი**

# გია ხუხაშვილი: „კოალიცია „ქართული ოცნება“ უნდა დაიშალოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

— თამაზ მეჭიაურს ხშირად არ ვეთანხმები ხოლმე, მაგრამ მის ამ პოზიციას სრულად ვიზიარებ. სწორედ ესაა ევროპული დემოკრატია. კოალიციები წინასაარჩევნოდ კი არ უნდა იქმნებოდეს, არამედ მას პარლამენტში მოხვედრილი ძალები უნდა ქმნიდნენ.

ეს არის ჯანსაღი მოდელი, ყველა სხვა იქნება არაჯანსაღი მიდგომა, რაც შედეგს არ მოგვიტანს და ისევ პარაზიტ ხელისუფლებას მივიღებთ, რომელიც ბიძინა ივანიშვილის მხრებზე იქნება. ახლა ესენი თამაშობენ სახლობანას და ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს დაბრალდება.

***— რას ფიქრობთ პრემიერის მიერ დაპირისპირებაზე გაკეთებულ განცხადებაზე? რესპუბლიკელები ამაყად აცხადებენ, გიორგი კვირიკაშვილმა ცალსახად ჩვენი პოზიცია დაიკავაო. თქვენ რას იტყვით ამ განცხადებაზე?***

— აცხადებენ, ჩვენი პოზიცია დაიკავაო. ეს არის კიდევ ერთი უბედურება. რას ნიშნავს ჩვენი ან თქვენი. ეს არის ძალიან უსაქციელო ლაპარაკი და ამას სჯობია, რესპუბლიკელებმა თავიანთი ავტორიტეტი გაზომონ. კეთილი ინებოს ყველა პარტიამ და იმდენი ამბიცია იქონიონ, რამდენი ნდობაც აქვს საზოგადოებაში. რესპუბლიკელები ყველა თავიანთ განცხადებაში იმას ამტკიცებენ, რომ იმაზე მეტი ამბიციები აქვთ, ვიდრე სახალხო ლეგიტიმაცია გააჩნიათ. ვიღაცის კარზე კი არ უნდა მოითხოვონ ტორტის ნაჭრები, ხალხისგან მიიღონ ლეგიტიმაცია და მერე გველაპარაკონ გონორით.

**მრეწველებისგან განსხვავებით, ამაზე ხმამაღლა არავის უსაუბრია, თუმცა შიდა საუბრები სულ არის. კოალიციის 80%-თვის რესპუბლიკური პარტია არის უცხო სხეული. რესპუბლიკელებსაც ეზიზღებათ დანარჩენი კოალიცია. ეს ცხადზე ცხადია და ყველამ იცის. ამ ხალხს ორი რამ აერთიანებს და არცერთი მათგანი არ არის სახელმწიფოებრივად გამართული და სწორი.**

რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, ის ადეკვატურად მოიქცა. თოფაძის პრეტენზიები ეხებოდა მისი კაბინეტის წევრს, თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს. კვირიკაშვილი, დიახაც, ვალდებული იყო, თავისი კაბინეტის წევრი დაეცვა. ვინც არ იცის, შევახსენებ, რომ მინისტრთა კაბინეტი გახლავთ სოლიდარული პასუხისმგებლობის ორგანო. როდესაც ერთ-ერთი მინისტრის მისამართით ასეთი მძიმე ბრალდებები ისმის, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება ზარალდება. პრემიერს ან უნდა გადაეყენებინა მინისტრი, ან უნდა დაეცვა. მას მესამე არჩევანი არ ჰქონია. ეს იყო და ეს. რესპუბლიკელები მის განცხადებას ტყუილად ასაღებენ მათდამი მხარდაჭერის გამოხატვად.

***— რადგან მთავრობაზე ვსაუბრობთ, რას ფიქრობთ დიასპორების საკითხების მინისტრის მოადგილის სანდრო ბრეგაძის წასვლაზე?***

— არ მესმის, რატომ არის ეს საკითხი საინტერესო. ისიც არ ვიცი, საერთოდ რატომ იყო ეგ მინისტრის მოადგილე. ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

***— მისი წასვლა საინტერესო იმით არის, რომ ამბობს, ხიდაშელმა პრემიერზე განახორციელა ზეწოლა და ჩემი გადაყენება მოსთხოვაო.***

— ვერც ამაზე გავაკეთებ კომენტარს. ეს თემა საერთოდ არ ვიცი და არც მაინტერესებს.

***— ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, რომ კოალიციაში არსებული დაპირისპირება ივანიშვილის დასარეგულირებელია. რა უნდა გააკეთოს მან ამისათვის?***

— ის ამ პროცესებში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს. მან განაცხადა კიდევაც, რომ არჩევნებისთვის გააქტიურდებოდა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ და რაოდენ კრიტიკულადაც არ უნდა იყოთ მის მიმართ განწყობილი, დღეს სტაბილურობის ერთადერთი გარანტი ბიძინა ივანიშვილია.

მისი ფაქტორი რომ არ იყოს, კოალიციაში შემავალ პარტიებს ისე ეზიზღებათ ერთმანეთი, შესაძლოა ქვეყანაში უმართავი პროცესები დაწყებულიყო.

***— ივანიშვილის ფაქტორიო, ამბობთ და ამ ფაქტორის პირობებშიც რომ ჭამენ ერთმანეთს?***

— ერთმანეთს მართლა ჭამენ, მაგრამ ივანიშვილი იმას ახერხებს, რომ ისინი მოუკრეფავში არ გადავიდნენ. ის რომ არა, ბევრად მძიმედ იქნებოდა საქმე. დღეს ხელისუფლების სტაბილურობის ერთადერთი გარანტი ივანიშვილია.

***— კვირიკაშვილს არ შეუძლია, სტაბილურობის გარანტი იყოს?***

— კვირიკაშვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ის ძალაუფლების ბერკეტებს არ ფლობს.

***— ზემოთ მეჭიაურის მოდელი მოიწონეთ, მაგრამ რამდენად რეალურია ამის განხორციელება? თქვენი აზრით, პარტიები მარტივად დატოვებენ კოალიციას?***

— ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნება. უნდა მოხდეს შეთანხმება, რომ ამ პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე უმრავლესობა შენარჩუნდეს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ სახელმწიფომ სტაბილურობა არ დაკარგოს, მერე წავიდნენ კოალიციიდან და ცალ-ცალკე იყარონ კენჭი. ეს არის ძალიან რთული ამოცანა და მისი შესრულება მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია.

***— პარტიები თუ წავლენ კოალიციიდან, თქვენი აზრით, რამდენი მათგანი შეძლებს საარჩევნო ბარიერის გადალახვას?***

— პარტია „ქართული ოცნება“ არათუ ბარიერს გადალახავს, არამედ პირველ ადგილზეც გავა. ის ასოცირდება ბიძინა ივანიშვილთან. მართალია, ამ ადამიანმა დაკარგა ავტორიტეტის რაღაც ნაწილი, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ის ყველაზე წონად ფიგურად რჩება. კოალიციის სხვა სუბიექტებზე რამის თქმა გამიჭირდება. ხომ აქვთ ამბიციები, რომ მაგრები არიან, ჰოდა, ცადონ ბედი. მოხვდებიან, მოხვდებიან, არადა, არც ამით დაშავდება რამე. მომავალ პარლამენტში 7 პარტია მაინც მოხვდება და სხვანაირი დაჯგუფებები მოხდება იქ.

დღეს არსებული გადმოსახედიდან, პარლამენტში მოხვედრის შანსები აქვთ ნაციონალებს, თავისუფალ დემოკრატებს, პატრიოტთა ალიანსს, ნინო ბურჯანაძეს, „გირჩასა“ და პაატა ბურჭულაძეს.

რესპუბლიკელები ხომ სულ იმას გვიმტკიცებენ, რომ მაგრები არიან, გავიდნენ ცალკე, შევიდნენ პარლამენტში და, ვინც მოსწონთ, იმათთან შექმნან კოალიცია.

# გიორგი ჩიტაური: „ზაქარია ქუცნაშვილი კანონს არღვევს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული მთის კანონი არაეფექტური, რა გადასახადების დაწესებას აპირებს ხელისუფლება, როგორ მდიდრდებიან მაჟორიტარები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი გიორგი ჩიტაური ესაუბრება.

**გიორგი ჩიტაური:**

– ისევე, როგორც სხვა ჩემი თანაპარტიელები, მეც ამაოდ ვამტკიცებდი, რომ ეს ხელისუფლება ქვეყანასა და განსაკუთრებით კი მთიან რეგიონებს დააქცევდა. სამწუხაროდ, არავინ დაგვიჯერა, იქით გვიყენებდნენ პრეტენზიას და „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული მთის კანონით აპელირებდნენ. არადა, გამოჩნდა, რომ ეს მთის კანონი კიდევ უფრო გაართულებს მდგომარეობას.

***– რანაირად უნდა გაართულოს?***

– ყველანაირად. ჩემი თუ არ გჯერათ, პარლამენტის დეპუტატების დაიჯერეთ. მათი ერთი სიტყვაც არაა დასაჯერებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში სიმართლეს ამბობენ. რამდენიმე დღის წინ გამოვიდა ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი და განაცხადა, რომ კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ტყიბულელი მეშახტეების მდგომარეობა უფრო გართულდა.

წინა კვირას გავიგეთ ისიც, რომ მესტიის მოსახლეობას, რომელსაც არანაირი შემოსავალი არა აქვს, წყალზე გადასახადი დაუწესეს. იმის მაგივრად, რომ გადასახადები გაენახევრებინათ, ახალი გადასახადი დაუწესეს. არ გამიკვირდება, ცოტა ხანში მაღალმთიან მოსახლეობას ჰაერზე დაუწესონ გადასახადი.

ყაზბეგის მოსახლეობას აქამდე ოქტომბრიდან 15 მაისამდე დაწესებული აქვს გაზის ლიმიტი. გარკვეული ოდენობის გაზი მოსახლეობისთვის უფასოა. ამათ მიერ შეტანილი ცვლილებებით კი უფასო გაზით იქაურები მხოლოდ 15 აპრილამდე ისარგებლებენ. გამოდის, რომ მოსახლეობას ერთი თვე მოჰპარეს. ამით, ალბათ, პრემიებს გამოიწერენ.

## „ცოტა ხანში ჰაერზეც დააწესებენ გადასახადს“





ზაქარია ქუცნაშვილი



გიორგი ჩიტაური

## „ზურაბ ზვიადაური ისე გასუქდა, ველარც კისერს ატრიალებს და ველარც კაბინეტში ეტევა“



ზურაბ ზვიადაური

***– თქვენ რაღაც კატასტროფული ვითარება დახატეთ ამ კანონის გარშემო და იქ მცხოვრებლებს პენსია რომ ეზრდებათ, ეს არაფერია?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არაფერია. ეს პენსია გაიზრდება თუ არა,ჯერ არავინ იცის, მერე, ლარის კურსი ისე გააქციეს და დააქციეს, რომ მეეჭვება, ამ გაზრდილმა პენსიამ რაიმე ქნას. წამლებს ისეთი ფასი ადევს, პენსიონერი კი არა, პატიოსანი ბიზნესმენი ვერ შეძლებს მათ შეძენას.

დეპუტატები ამ თემებზე საუბარს რატომღაც გაურბიან. ყველა იმაზე ფიქრობს, როგორ მოაწონონ ლიდერებს თავი, რომ სიაში ხელახლა მოხვდნენ, მაჟორიტარები კი საერთოდ ხელიდან წავიდნენ.

***– რით გამოიხატება მათი ხელიდან წასვლა?***

– ქვეყანა თავზე დაგვემხო, დასახლებული პუნქტები ხალხისგან იცლება, ესენი კი ხმას არ იღებენ, თითქოს შვეიცარიასავით ქვეყანა გვქონდეს. ხალხის გასაჭირზე ხომ მდუმარებაში არიან, სამაგიეროდ, თავიანთი ბიზნესის აწყობაზე ბევრს ლაპარაკობენ. მაგალითისთვის ჩემი რაიონის დეპუტატის ქმედება შემიძლია მოვიყვანო. ზაქარია ქუცნაშვილი სერიოზულად არის ჩართული ბიზნესსაქმიანობაში, რაც კანონის დარღვევაა. დეპუტატს ბიზნესის წარმოება ეკრძალება.

***– თქვენ შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ქუცნაშვილი უკანონობას ჩადის?***

– ამას მე კი არა, ფაქტები დაამტკიცებენ. თუ პროკურატურა საქმის შესწავლას დაიწყებს, მე მზად ვარ, დოკუმენტები წარვუდგინო.

რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ასე იქცევიან სხვა მაჟორიტარებიც. ზურაბ ზვიადაური ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ მაგაზეც უნდა ვთქვა სიმართლე. ახმეტაში არსებულ პრობლემებზე ხმას არ იღებს, სამაგიეროდ, ისე გასუქდა, ველარც კისერს ატრიალებს და ველარც კაბინეტში ეტევა.

***– რატომ გგონიათ, რომ გასუქებული მაჟორიტარი რაიონს ვერ მიხედავს?***

– იმიტომ, რომ ვიცი, რის ხარჯზე სუქდებიან მაჟორიტარები. ახმეტის საავადმყოფოში რომ მიხვიდეთ, გული გაგისკდებათ. სტომატოლოგი იმათ არ ჰყავთ, ტრავმატოლოგი და გინეკოლოგი. პაციენტებს ან თელავში აგზავნიან, ან თბილისში. გამაგებინეთ, ექიმი თუ არ ჰყავს ამ ახმეტას, მაჟორიტარი რაში სჭირდება?

და საერთოდ, როდის უნდა დამთავრდნენ ეს მაჟორიტარები. ზოგიერთი მათგანი კომუნისტების დროიდან ზის იქ. იმის მაინც აღარ რცხვენიათ, ამდენი ხნის განმავლობაში რომ არიან მაჟორიტარები?

„ქართული ოცნება“ გვპირდებოდა, რომ ამ სისტემას გააუქმებდა, მაგრამ, ხელისუფლებაში მოვიდნენ თუ არა, მისი დაცვა დაიწყეს. ჩვენ, ლეიბორისტები, არ შევეგუებით ამ ფეოდალების მმართველობას და მარტო იმიტომ მოვალთ ხელისუფლებაში, რომ ქვეყანა მათი ტყვეობისგან გავათავისუფლოთ.

# „საქართველო რუსეთის ზეწოლას ვერ გადალახავს“

## ამერიკელი ექსპერტების საგანგაშო პროგნოზი

ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსები მაიკლ კოფმანი და ალექს ვატანკა აშშ-ის დაზვერვის ეროვნული სამსახურის დირექტორ ჯეიმს კლაპერის აშშ-ის სენატში გაკეთებულ განცხადებებსა და ნატოს მომდევნო, ვარშავის სამიტის სავარაუდო შედეგებს აფასებენ.

როგორც ცნობილია, გასულ კვირას ჯეიმს კლაპერმა სენატში ყოველწლიური მოხსენებისას მსოფლიო საფრთხეების შესახებ ისაუბრა. საქართველოსთან დაკავშირებით, მისი ყველაზე ხმამაღალი განცხადება ქვეყნის პოლიტიკური კურსის რუსეთის გავლენით შესაძლო ცვლილებას შეეხებოდა. ამ განცხადებას ანალოგიურად ხმაურიანი და აქტიური გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს ხელისუფლებისა და საექსპერტო წრეების მხრიდან.

მაიკლ კოფმანი ვაშინგტონში მდებარე კენანის ინსტიტუტის მკვლევარია. რადიოსადგური „ამერიკის ხმა“ მასთან შეეცადა გაერკვია, თუ რას უნდა ელოდოს საქართველო 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტიდან და როგორ უნდა გაიგონ ქართველმა ლიდერებმა აშშ-ის დაზვერვის ეროვნული სამსახურის დირექტორის ჯეიმს კლაპერის განცხადება საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით.

მაიკლ კოფმანი:

– საქართველო გარკვეულ სიგნალებს ეძებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მას სამოქმედო გეგმას მიანიჭებს (მაპი) რაც, როგორც იცით, ალიანსში მიწვევას ნიშნავს. ეს საკმაოდ არარეალური სცენარია ახლო პერსპექტივაში. ნაცვლად ამისა, საქართველოსთვის ნატო ცდილობს ინტეგრაციის სხვა საშუალებები წამოსწიოს წინ და ეს ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანი შეღავათებით (ბენეფიტები) უზრუნველყოს, რაც ერთგვარად იქნება მიდგომის – „გაერთიანება, ფაქტობრივი გაერთიანების გარეშე“ ასახვა.

კორესპონდენტის კითხვაზე, იყო თუ არა ჯეიმს კლაპერის განცხადება ერთგვარი გაფრთხილება საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომ მან მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, თუ რეკომენდაცია აშშ-ის მთავრობისადმი უფრო მეტად იაქტიუროს რეგიონში რუსული გავლენების გასანეიტრალებლად, მაიკლ კოფმანი ამბობს, რომ ჯეიმს კლაპერის მიერ სენატში გაკეთებული ყოველწლიური მოხსენება არაფერს მსგავს არ გულისხმობდა:

– მას არაფერი ასეთი არ ჰქონია მხედველობაში. ჯეიმს კლაპერმა ივარაუდა, რომ იმდენად, რამდენადაც ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით საქართველოს მოსახლეობა იმედგაცრუებულია, ფაქტობრივად, საქართველო მომავალში შესაძლებელია შეუდგეს დასავლეთთან ინტეგრაციის საპირისპირო გზას და ერთადერთი ალტერნატიული ორბიტა აქ მხოლოდ რუსული ორბიტაა. რუსეთის გავლენა და ზეწოლის საშუალებები მეზობელ საქართველოზე საკმაოდ ძლიერია. კლაპერმაც სწორედ ეს იგულისხმა, რომ თავის დროზე, რუსეთს იქ გავლენის სრული აღდგენა არ გაუჭირდება, – ამბობს მაიკლ კოფმანი.

ვაშინგტონში დაფუძნებული ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის წამყვანი ანალიტიკოსი ალექს ვატანკა კი თვლის, რომ დღესდღეობით მსოფლიოში ბევრი ადამიანია, ვინც ფიქრობს, რომ ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი ბარაკ ობამა საკმარისად არ ირჯება მათი ქვეყნებისთვის და სავარაუდოდ, საქართველოს მოსახლეობაც მეტ საჭიროებას ხედავს, აშშ აქტიურად ჩაერიოს რუსული გავლენების აღკვეთის საქმეში.



ალექს ვატანკას თქმით, ჯეიმს კლაპერის განცხადება ამ რეალობის წარმოჩენას გულისხმობდა:

– ანალოგიური აღქმა არსებობს სავარაუდოდ, რუსეთის სხვა მეზობელ მცირე სახელმწიფოებშიც. თუმცა ფუნდამენტური პასუხი ისევ ამერიკის საგარეო პოლიტიკაშია და იმაში, თუ როგორ ავლენს ის საკუთარ ძალაუფლებას მსოფლიოში. პრეზიდენტ ობამას პოზიციაა, რომ ძლიერების წარმოსაჩენად საჭირო არ არის ყველგან სამხედრო ძალით მოახდინო ინტერვენცია. ამის ნათელი დადასტურებაა ამერიკის მონაწილეობა, ან როგორც ბევრი იტყვის – მონაწილეობის ნაკლებობა უკრაინაში. რაც შეეხება საქართველოს: ეს არის ქვეყანა, რომელიც დასავლეთისა და პერიოდულად, რუსეთის გავლენების ქვეშ ექცევა. ვფიქრობ, თუ რუსეთი გადაწყვეტს, რომ საქართველოზე მეტი ზეწოლა მიიტანოს, საქართველოს ძალიან გაუჭირდება ამის გადალახვა და დაძლევა. მიზეზი მარტივია: აშშ ომს არ დაიწყებს საქართველოში ვლადიმირ პუტინთან. იმ დრომდე, სანამ ამერიკის ხელისუფლების სათავეში ბარაკ ობამაა, ეს მიდგომა დარჩება. არ ვიცი, შესაძლოა უფრო მეტი კონცენტრირება გამოიჩინოს ამერიკის მომავალმა ადმინისტრაციამ. მაგრამ ამ ეტაპზე რუსეთი ფაქტობრივად მიშვებულია გააკეთოს ის, რაც მის ინტერესებს ემსახურება სამხრეთ კავკასიაში, – ამბობს ალექს ვატანკა.

**ნიუსპრესი**

# თეა წულუკიანი: „აგვისტოს ომში ქართველთა ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი“

– ჰააგის გამოძიება წმინდად სამართლებრივი პროცედურაა და მას ვერანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ვერ დააზიანებს, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და აღნიშნულით იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერმა ე.წ. პარლამენტს დაავალა, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ (დუმა) საქართველოს მიერ ოსი ხალხის გენოციდი აღიაროს.

წულუკიანის თქმით, არსებული მტკიცებულებები მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ აგვისტოში ომის დროს მომხდარია ქართველთა ეთნიკური წმენდა.

**თეა წულუკიანი:**

– ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, რომ ჰააგის გამოძიება არის წმინდად სამართლებრივი პროცედურა და მას ვერ დააზიანებს ვერანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რადგან როგორც ფატუ ბენსუდამ და მისმა ოფისმა მრავალჯერ განაცხადეს, ისინი დაეყრდნობიან მხოლოდ მტკიცებულებებს და ჩვენი გადასახედიდან ეს მტკიცებულებები მკაფიოდ ადასტურებს იმას, რომ აგვისტოში ომის დროს მომხდარია ქართველთა ეთნიკური წმენდა.





აქედან გამომდინარე, ისღა დაგვრჩენია, რომ ამ გამოძიებას ხელი შევუწყოთ, რომ ეს უკვე მტკიცებულებების დონეზე, საერთაშორისო დონეზე დამტკიცდეს და ჩვენმა მსხვერპლებმა, როგორც ბატონმა მოჩოჩოკომ განაცხადა, იხილონ მართლმსაჯულება, რომელმაც უნდა აღადგინოს შეძლებისდაგვარად მათი უფლებები. ბოლომდე კი მათი უფლებები მხოლოდ მაშინ აღდგება, როდესაც ჩვენ ყველა ერთად გავერთიანდებით – აფხაზები, ოსები, ქართველები და ვიცხოვრებთ იმ ერთიან ქვეყანაში, სამშობლოში, რომელსაც საქართველო ჰქვია.

**მედიანიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ჯაბა ჯიშკარიანი: „ნაციონალებს უგულავას ცოლის ოპერაციების დაფინანსებას გავახსენებ“

ნათია ხურცილავა

**თბილისის საკრებულოს დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი ჯაბა ჯიშკარიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ყოფნისას ოპონენტს არათუ პასუხს სცემდა, დევნიდა და ციხეში სვამდა კრიტიკისთვის.**





ჯაბა ჯიშკარიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს ახსენებს, რომ თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა უგულავას ცოლის ახლობლების მკურნალობა და ამის დასამტკიცებლად ხარჯთაღრიცხვის რამდენიმე საბუთიც აქვს.

– ჩვენს ოპონენტებს შევახსენებ, თავის დროზე თუ როგორ იყენებდნენ ხალხის ფულსა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, როგორ აღვირახსნილად ექცეოდნენ, როგორ პარპაშობდნენ ხალხის ფულით. მათ თუ დაავიწყდათ, ახლავე შევახსენებ, უგულავას მეუღლის ესთეტიკური ოპერაციები როგორ ფინანსდებოდა მერის პირადი ფონდიდან. ეს დაავიწყდათ?!

საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, თუ რას წარმოადგენდა ნაციონალური მოძრაობა 9 წლის განმავლობაში და მინდა, კონკრეტული ციფრები მოვიყვანო. ბუდა-ბარში ერთ-ერთ საღამოზე ნაციონალებმა 58 ათასი ლარი დახარჯეს, ასევე ტივზე ერთი ქეიფი ნაციონალურ მოძრაობას უჯდებოდა 32 ათასი ლარი.

ფინანსდებოდა მათი ახლობლების ოპერაციები სილამაზისთვის. ქალბატონი ლელა კილაძე და მისი დაქალები თანხებს იღებდნენ მერიის პირადი სარეზერვო ფონდიდან, მერიის ბიუჯეტიდან და ხალხის ფულის მოხმარება ხდებოდა მათ საკეთილდღეოდ და მათი ვნებების დასაკმაყოფილებლად. ჩვენს ოპონენტებს შევახსენებ, თავის დროზე თუ როგორ იყენებდნენ ხალხის ფულსა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, როგორ აღვირახსნილად ექცეოდნენ, როგორ პარპაშობდნენ ხალხის ფულით.

მე ვთვლი, რომ ეს ადამიანები საერთოდ ღირსი არ არიან, პასუხი გავცეთ. ამ შემთხვევაში მე საზოგადოებისთვის ვსაუბრობ, რომ ადამიანები არ იყვნენ შეცდომაში შეყვანილნი.

***– თბილისის ბიუჯეტიდან პროკურორის შვილის დაფინანსებაზე რას იტყვით?***

– ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უკვე მივიღეთ პასუხი. პირველი პასუხი არის ის, რომ მერიის პასუხისმგებელი პირი თანამდებობიდან არის გადაყენებული. ამდენად. პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უკვე დადგა. მეორე, ამ ოჯახმა კრედიტი აიღო და სახელმწიფოს დაუბრუნა აღნიშნული თანხა. ეს მორალური ნაბიჯია და მივესალმები ამ ნაბიჯს.

***– ნაციონალური მოძრაობა უფრო მეტს ითხოვს.***

– ადამიანები როდესაც გველაპარაკებიან და თითქოს გვამხელენ, ავიწყდებათ, მათ რა აქვთ წარსულში, ხელისუფლებაში ყოფნის დროს გაკეთებული. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ მორალურ მხარეზე შეგვიძლია საუბარი. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად ყველა ზომა იქნა მიღებული. თვითონ მერმაც განაცხადა, რომ ის არ იყო საქმის კურსში, რადგან დღეში 100 დოკუმენტს აწერს ხელს.

***– ნარმანიამ არ იცოდა, რას მოაწერა ხელი? უნდა იცოდეს თუ არა მერმა, რა დოკუმენტს აწერს ხელს?***

– ნამდვილად ვერ ეცოდინება, რადგან, როგორც თავად საზოგადოებას მოახსენა, დავით ნარმანია დღეში 100-ზე მეტ დოკუმენტზე აწერს ხელს და ყველა დოკუმენტს ანალიზს ვერ გაუკეთებს, მაშინ გამოდის, რომ ამ დოკუმენტების ანალიზით უნდა დაკავდეს. არსად არ წერია, რომ პროკურორის შვილი თუ ვისი შვილიც არ უნდა იყოს, ნებისმიერი თანამდებობის პირის შვილი თუ ოჯახის წევრი არ დააფინანსოს სახელმწიფომ.

ქალაქის მერი გამოვიდა და განმარტება გააკეთა, საზოგადოებას აუხსნა, თუ რა მოხდა. ეს არის, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი, რომ მერი თავს მოვალედ მიიჩნევს, ამომრჩეველს აუხსნას, რა მოხდა. კორუფცია იქნებოდა, პირადი მოტივებით ჩადენილი კანონდარღვევა თუ სხვა რამ – ყველაფერს ადეკვატური პასუხი გაეცა. ეს არის მნიშვნელოვანი. ნაციონალური მოძრაობა როდესაც ხელისუფლებაში იყო, მაშინ არათუ დანაშაულის აღიარება, მიჩქმალვაც კი არ ხდებოდა. ვინც კი დააპირებდა მათ მხილებას, მისი დევნა, თვალთვალი, ციხეში ჩასმა და ცხოვრების დანგრევა ხდებოდა. ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე და ვერავინ მეტყვის, რომ ასე არ ყოფილა. ეს თუ უნდა ნაციონალურ მოძრაობას რომ გავახსენო, კი ბატონო, მეტიც შემიძლია გავახსენო.

ჩვენ ვართ ღია და გამჭვირვალე ხელისუფლება. ჩვენი ხელისუფლება მხოლოდ დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებს. მოხდა ფაქტი, გამოააშკარავეს, პასუხმაც არ დააყოვნა და ადეკვატური რეაგირებაც მოხდა. ეს არის მთავარი. თუ ასეთი მაგრები არიან, მაშინ რატომ არ ამხელდნენ, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, თუ მხოლოდ დღეს არიან მაგრები?!

არ მჯერა მათი კრიტიკისა და პროტესტის. მე იმ ხელისუფლებაში ვერ ვიტანდი უკანონობასა და უსამართლობას და ვერც ახლა დავხუჭავ თვალს უსამართლობასა და უკანონობაზე.

***– ნაციონალური მოძრაობა ნარმანიას უნიათოს უწოდებს. ამ მიმართულებითაც არ არის მათი კრიტიკა მისაღები?***

– ნაციონალური მოძრაობის კრიტიკა არათუ მისაღები, სამართლიანიც არ არის. ეს მათი აკვიატებაა, რომ ნარმანია უნიათოა, რომ ეს ხელისუფლება უნიათოა. მათ უნდათ, რომ ამ ლოზუნგს მიაჩვიონ საზოგადოების ყური. ეს არის ერთ-ერთი პოლიტიკური მეთოდი. სასაცილოა, როდესაც დავით ნარმანიაზე ამბობენ, უუნაროა. უნარიანს, ალბათ, იმას ეძახიან, რომ 7 ნოემბერს უგულავა მიტინგის დაშლით იყო დაკავებული. რა არის მათი არგუმენტი, როდესაც ამას ამბობენ, რომ ორმოული სამუშაოებია გასაკეთებელი. დაიწყო ეს სამუშაოები.

***– მნიშვნელოვანი პრობლემა საცობებია. არსებობს გეგმა, როგორ შეიძლება ქალაქის განტვირთვა?***

– საცობებისგან ქალაქის განტვირთვისთვის რამდენიმე პროექტი უნდა ჩაეშვას. კუს ტბის დამაკავშირებელ საბაგირო გზის თაობაზე ტენდერი გამოცხადებულია, ასევე რამდენიმე ახალი გზისა და ესტაკადის მშენებლობასთან დაკავშირებით პროექტი მზად არის. თბილისი მთაგორიანი ქალაქია და, შესაბამისად, საბაგირო ტრანსპორტის დანერგვის რეალური წინაპირობები არსებობს.

***– ავტოპარკის განახლება როდის იგეგმება?***

– მიმდინარე წელს 150 ახალი ევროპული სტანდარტის, სრულად ადაპტირებული ავტობუსი შემოვა. ეს ავტობუსები, ცხადია, ასევე აღჭურვილია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებისთვისაც. ეს იქნება ენერგოდამზოგავი, თანამედროვე, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი უსაფრთხო ავტობუსი. ახლი ავტობაზის მშენებლობაც არის დაგეგმილი. ამ ტიპის ავტობუსები ჯერ ჩვენს ქალაქში არ ყოფილა შემოყვანილი. ეს იქნება პირველად საქართველოში. ტენდერი უკვე გამოცხადებულია „იბიარდის“ საიტზე. პროექტი სწორედ „იბიარდის“ თანადაფინანსებით ხორციელდება.

დედაქალაქში ეტაპობრივად მოხდება ავტოტრანსპორტის გამოცვლა. სრულად მოხდება ავტოპარკის განახლება, შესაბამისად, იგეგმება 650 ეკოლოგიური ავტობუსის შეძენა თბილისისთვის, რომელიც ევრო-6 ძრავით იქნება აღჭურვილი. ეს ძალიან მაღალი დონის, ევროსტანდარტის ავტიბუსებია, რომლებიც ევროპის დედაქალაქებში დადიან. წლის ბოლომდე დედაქალაქში ძირითადი პრობლემები, რომლებიც აწუხებს თბილისელებს, მოხსნილი იქნება. ეს ახალი ავტოპარკი ასევე ხელს შეუწყობს ქალაქის საცობისგან განტვირთვას. ასევე გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ დასუფთავების მანქანები აღარ ივლიან ქუჩებში დღის საათებში და ღამე მოხდება ნაგვის გატანა. ესეც, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საცობის პრობლემის მოგვარების საკითხებს. კვლევის თანახმად, თბილისში ყოველდღიურად ნახევარი მილიონი ავტომობილი მოძრაობს. ვფიქრობ, რამდენიმე დაგეგმილი ღონისძიება ამ მიმართულებით პრობლემას მოაგვარებს.

# დავით საყვარელიძე: „საქართველოში დაბრუნებას არ ვაპირებ. მე უკრაინა მიყვარს“

უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე „ბი-ბი-სი“-ს უკრაინული სამსახურის კორესპონდენტ ნინა კურიატას ინტერვიუ მისცა, სადაც განმარტა, თუ რატომ მიმდინარეობს ასე დაყოვნებით რეფორმები უკრაინის გენპროკურატურაში, ისაუბრა უკრაინაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე, ოდესის ოლქის გუბერნატორსა და თავის პირად პერსპექტივაზეც...



დავით საყვარელიძე დადებითად აფასებს ოდესის ოლქის გუბერნატორის, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას და ამბობს, რომ „გუბერნატორი მხოლოდ ჩინოვნიკი არ არის, იგი პოლიტიკური ფიგურაა. გუბერნატორებს შეუძლიათ პრეზიდენტებიც გახდნენ“. გარდა ამისა, დავით საყვარელიძე, რომელიც შეთავსებით ოდესის ოლქის პროკურორიცაა, ჟურნალისტთან საუბრობს აგრეთვე იმ კორუფციულ სქემებზე და გარიგებებზე, რომლებიც ოდესის ოლქში გამოვლინდა.

– სკეპტიკოსები ამბობენ, რომ ჩვენ „პანდორას ყუთი“ მხოლოდ პირადი ინტერესების გამო გავხსენით და ფაქტიურად არაფერს ვაკეთებთ, მაგრამ ეს ასე არაა: განა ჩვენი მუშაობის შედეგი არ არის ის, რომ გუბერნატორი, საოლქო პროკურორი, პოლიციის უფროსი და საბაჟოს ხელმძღვანელი ქრთამს აღარ იღებენ?, – ამბობს ინტერვიუში დავით საყვარელიძე.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებულ ვერსიას:

***– თქვენ უკვე მიიღეთ უკრაინული პასპორტი, მაგრამ ქართული სად გაქვთ?***

– ჯერჯერობით ჯიბეში მიდევს, მაგრამ ამას წინათ საქართველოს ელჩი გამოვიდა და თქვა, რომ ქართული მხარე მალე ჩემ მიმართ საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის პროცედურას დაიწყებს. ეს ქართული კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

***– რა თქვეს დედათქვენმა და მეგობრებმა, როცა გაიგეს, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი განაცხადეთ?***

– როცა ერთადერთი ვაჟი უცხო ქვეყანაში მიდის სამუშაოდ, თანაც ასეთ ბატალიებში... როცა ხედავ, რომ უკრაინაში არასტაბილური სიტუაციაა, არის დაპირისპირებები, საქმეები აღიძვრება და იხურება, გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ყველა დედა საკუთარ შვილზე დარდობს...

***– თუ საქართველოში ხელისუფლება ისევ შეიცვლება და მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს დაბრუნების შესაძლებლობა მიეცემა, თქვენ მზად ხართ ამისათვის?***

– მე საქართველოში მუშაობის სურვილი აღარ მაქვს. რადგან მე ავიღე პასუხისმგებლობა და უკრაინაში გადმოსვლა გადავწყვიტე, ეს ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა მიყვარს და აქ მსურს მუშაობის გაგრძელება. მოკლედ, საქართველოში დაბრუნებას და სახელმწიფო სამსახურს არ ვაპირებ.

***– კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ექვსი ათასგრივნიანი ხელფასით ცხოვრებასა და ქარის წისქვილებთან ბრძოლას?***

– სანამ არ ამოვწურავ ჩემს შესაძლებლობებსა და იმედს, რომ რაღაც შევცვალო. როცა დავინახავ, რომ მეტი მოძრაობის საშუალება აღარ მაქვს, გადაწყვეტილებას მივიღებ.

**ნიუსპრესი**

# გუბერნატორის სიდედრი ოზურგეთის დასუფთავების სამსახურმა დაკრძალა

გურიის გუბერნატორ გია სალუქვაძის სიდედრი, ციური ნაცვალაძე, ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა დაკრძალეს.



ამის შესახებ „გურიის მოამბეს“ თვითმხილველებმა აცნობეს.

ამ ინფორმაციას კერძო საუბრებში ასევე გვიდასტურებენ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მათზე შესაძლო რეპრესიების დიდი ალბათობის გამო ვინაობის დასახელებისაგან თავს იკავებენ.

მათივე ინფორმაციით, ოზურგეთის დასუფთავების სამსახური უკვე წელიწადია გურიის გუბერნატორ გია სალუქვაძის საცხოვრებელ სახლში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურში სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო, მშენებლობით და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ახორციელებს:

– ამ წუთას გუბერნატორის ეზოს ვწმენდთ მთლიანად და თხილის პლანტაციის მოვლა-პატრონობას ვაწარმოებთ, ვჩეხთ ზედმეტ ძირებს, გაგვაქვს ტერიტორიიდან ნაგავი, ვხვეტთ კარ-მიდამოს, ამას წინათ ღობეებს ვღებავდით.

– გაზი კომპანია „სოკარმა“ უფასოდ შემოუყვანა, დაუმონტაჟა და ღობეებიც გაუკეთა, – გვიყვება ერთ-ერთი თანამშრომელი.

– აგერ „გუშხამ“, ერთი კვირის წინ, თებერვლის პირველი ნახევარი იყო, როცა სიდედრი გარდაეცვალა, წაიყვანეს დილიდან ათხრევინეს ჩვენებს საფლავი, მოასვენეს მიცვალებული და ბოლო პატივიც სცეს, თურმე ქელეხის სუფრიდან საჭმელი გაუგზავნეს ე.წ. მესაფლავეებს – არ მოგერიდოთ, მაინც ბიუჯეტი იხდისო. ღმერთმა აცხონოს, კარგი ქალი იყოო, ამბობენ, მაგრამ ჩვენც მონები ხომ არ ვართ! – გვიყვება ამავე სამსახურის მეორე თანამშრომელი.

ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის, იგივე ა(ა)იპი „ოზურგეთის სერვისცენტრის“ თანამშრომლები გაუსაძლის ყოფაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ გუბერნატორი არ არის ერთადერთი თანამდებობის პირი, რომლის სახლშიც ისინი უფასოდ, იძულებით მუშაობენ:

– ყოველ მეოთხე-მეხუთე დღეს ბოხვაურში იგზავნება სპეციალური ბრიგადა, ხან რას აკეთებენ და ხან რას. აგერ, რა სალაპარაკოა მარა, ტუალეტიც ჩვენი ამოსათხრელი დარჩა. ჩვენ გარდა იქ უამრავი საჯარო სამსახურია, ისინიც ჩვენსავით უფასოდ მუშაობენ. კომპანია „სოკარი“ იმიტომ აღვნიშნეთ, რომ გაგვიკვირდა, კერძო კომპანიებიც თუ ჩვენს დღეში იყვნენ, არ ვიცოდით, – გვითხრა ერთ ერთმა თანამშრომელმა.

ამ ინფორმაციას ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგი სიორიძე გამოეხმაურა.

– თუ ეს ინფორმაცია მართალია, სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ მინიმუმ სამსახურის უფროსი დატოვებს თანამდებობას, ვაწარმოებთ მოკვლევას. თუმცა, არა მგონია, ან სამსახურის უფროსს და მით უმეტეს მხარის პირველ პირს მიეცათ საკუთარი თავისთვის უფლება, ეს გაეკეთებინათ. მე საქმის კურსში არა ვარ და, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდებოდა. გუბერნატორს არანაირი უფლება არა აქვს, მისცეს მითითება აიპის ხელმძღვანელს. – აცხადებს ქალაქის მერი.

**გურიის მოამბე**

# მარკესი: „იცხოვრო, რომ მოჰყვე“

## წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ

23 თებერვლიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება გაბრიელ გარსია მარკესის რომანი „იცხოვრო, რომ მოჰყვე“.

გთავაზობთ ინტერვიუს რომანის ესპანურიდან მთარგმნელ **ლანა კალანდიასთან.**

***– რას მოგვითხრობს მარკესი ავტობიოგრაფიულ რომანში „იცხოვრო, რომ მოჰყვე“, რამდენად ეხება თავისი შემოქმედების საკითხს, პირად ცხოვრებისეულ ამბებს ნაწარმოებებში?***

– „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ მარკესის მიერ საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაწერილი წიგნია. რომანში მწერალი ცხოვრებისა და სიტყვის ალქიმიაზე მოგვითხრობს, გვიამბობს იმ რეალურ ადამიანებზე, ეპოქასა და ქვეყანაზე, რომლებმაც მარკესის მხატვრული სამყარო შექმნეს.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ განსხვავებულად წარმოგვიჩენს მარკესის შემოქმედებითი სამყაროს თავისებურებებს. ჩვენ იმ მწერალზე ვსაუბრობთ, რომლის სახელიც ერთმნიშვნელოვნად დაუკავშირდა ლიტერატურისმცოდნეობის ყველაზე კონტრავერსულ ტერმინს – „მაგიური რეალიზმი“.


ლანა კალანდია

„ჩემი მშობლები კარგი მთხრობელები იყვნენ და ხშირად მიამბობდნენ თავიანთი სიყვარულის შესახებ, – წერდა მარკესი, – მაგრამ, როდესაც წლების შემდეგ მათ სიყვარულზე რომანის დაწერა დავიწყე, რეალობასა და წარმოდგენას შორის ზღვარი დაკარგული მქონდა“.

ალბათ, ამ სიტყვებში ყველაზე მკაფიოდ ჩანს ის ძნელად მოსახელთებელი მიჯნა, რომელიც მის შემოქმედებაში სინამდვილესა და მაგიას შორის არსებობს.

„მწერალი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია, მკითხველი სასწაულებში დაარწმუნოს“ – ესეც გაბრიელ გარსია მარკესის ფრაზაა. პარადოქსულია, მაგრამ ამ წიგნში მარკესის მკითხველს „სასწაულები“ კი არა, სწორედ ის აცვიფრებს, თუ რამდენადაა მისი წიგნები რეალობით გაჯერებული.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ არის ნოსტალგიური მოგზაურობა საკუთარ ცხოვრებაში, ეპოქის ისტორიულ რეალიებში და იმ კულტურულ სივრცეში, რომელთანაც მწერალი სრულად აიგივებდა საკუთარ თავს.

ავტორები, რომლებმაც რომანის წერისკენ უბიძგეს, ჩრდილოამერიკელი მწერლები იყვნენ, მაგრამ ყველაზე მეტად მას შთააგონებდა ღრმა სამხრეთის კულტურა და კარიბული ხასიათი, რომლის არსიც შეუფასებელია მისი, როგორც ადამიანისა და მწერლის ჩამოყალიბებაში.

„მე იმ ქვეყანაში ვცხოვრობდი, სადაც ყველაზე დაუჯერებელი ამბები სრულიად ბუნებრივი რამ იყო“, – წერს ერთგან მარკესი.

ამ წიგნის შექმნის იდეა მაშინ გაუჩნდა, როდესაც დედასთან ერთად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მამაპაპისეული სახლის გასაყიდად არაკატაკაში ბრუნდებოდა. ნოსტალგიური მოგზაურობით შთაგონებული, დედას ნავსადგურზე დაემშვიდობა და რედაქციაში დაბრუნებისთანავე ახალი რომანის წერა იმ სიტყვებით დაიწყო, რომლებითაც დედამ მიმართა: „დახმარების სათხოვნელად მოვედი, მინდა, რომ სახლის გასაყიდად გამომყვე“.

თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ დაუსვა ამ წიგნს ბოლო წერტილი.

***– ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მარკესის ცხოვრებაზე და, გარდა ამისა, მისი ნაწარმოებების პერსონაჟებად იქცნენ?***

– დედის გავლენისა და ხასიათის შესახებ მწერალი აღტაცებით მოგვითხრობს. ხანგრძლივი განშორებების მიუხედავად, მათი ემოციური კავშირი არასოდეს გაწყვეტილა.

„მას შემდეგ, რაც საშუალება გამიჩნდა, ყოველ კვირას, ერთსა და იმავე დროს, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ვურეკავ. არა იმის გამო, რომ, როგორც ამბობენ, კარგი შვილი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ეს საკვირაო ზარები ყოველთვის ჩვენი ურთიერთობის სერიოზულობის ნაწილად მიმაჩნდა“.

დედა სიცოცხლის ბოლომდე მარკესის შთაგონების წყარო და მისი ერთგული მკითხველი იყო. მან თავისი ძლიერი და რომანტიკული ხასიათით არა მხოლოდ განსაზღვრა მწერლის პიროვნული რაობა, არამედ თავისებური დაღი დაასვა მის პერსონაჟ ქალებს.

კიდევ ერთი ადამიანი, რომლის სახე დაუვიწყარ მოგონებად გაჰყვა მარკესის ცხოვრებას, ბებია ტრანკილინა იყო – ადამიანი, რომელმაც „გულმოდგინედ მწყემსა მისი ბავშვობა“. სწორედ მისგან გაიგო სრულიად პატარამ, როგორი ფაქიზი და უხილავია ზღვარი წარმოსახვასა და რეალობას შორის.

„მარტოობის ასი წლის“ მატრიარქის, ურსულას, სახეში ერთგვარი მხატვრული ტრანსფორმაცია განიცადა დედისა და ბებიის სახემ.

„ურსულას დედაჩემის ნაკვთები აქვს, მაგრამ იმ ქალების შტრიხებსაც ატარებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე შემხვედრია“, – წერდა მარკესი.

***– და მაინც, როგორები არიან მარკესის ქალები? როგორია მათი ზოგადი პროფილი?***

– მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც შესაძლებელია საერთო კონტურებია მონიშვნა. მარკესის ძლიერ და მომხიბვლელ ქალებს ღრმა შინაგანი ინტუიცია და ეთიკური მგრძნობელობა აერთიანებთ. სწორედ ის თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, გაბრიელ გარსია მარკესის პიროვნული მსოფლაღქმის მთავარი ქვაკუთხედიც იყოს.

ბუნებრივია, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ იმ პიროვნებას, რომელიც მისი საუკეთესო მოთხრობის შთაგონებად იქცა – პოლკოვნიკი ნიკოლას მარკესი.

„მას შემდეგ, რაც კოლუმბიის ხელისუფლებამ ვეტერანებისთვის პენსიის დანიშვნის ამბავი გამოაცხადა, ფოსტის ყოველ მოსვლას ისე ველოდით, როგორც უფლის გამოცხადებას“, – გულისტკივილით იხსენებს მწერალი. ამ მარტოობის, გულგრილობისა და იმედგაცრუების დაუნდობელი ტკივილზე გვიამბობს „პოლკოვნიკს არავინ სწერს“. ნიკოლას მარკესის საყვარელი გატაცება – ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს თევზები – სამუდამოდ დარჩა მსოფლიო ლიტერატურის ნამდვილი სამკაულის, ბუენდიების ოჯახის საიდენტიფიკაციო ნიშნად.






***– წიგნის საშუალებით მკითხველი რა სიახლეებს გაეცნობა მარკესის შემოქმედების შესახებ?***

– მარკესზე ბევრი რამ დაწერილა და მომავალშიც დაიწერება. „მარტოობის ას წელზე“ ამბობს, ისეთი წიგნი მინდოდა დამეწერა, სადაც ყველაფერი ხდებაო. ვკითხულობთ და გვეჩვენება, რომ მხოლოდ ზებუნებრივი შთაგონების ძალით შეიძლებოდა დაწერილიყო ასეთი ნაწარმოები.

ცხადია, ვცდებით. თუ როგორი არაადამიანური, რუტინული შრომით იწერებოდა მისი წიგნები, ამის შესახებ „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ გვიამბობს. პროფესიული სრულყოფილების მონა ვარო, ამბობდა მარკესი და ეს აიძულებდა, წინასწარ განესაზღვრა წიგნის ზომა, გვერდების ზუსტი რაოდენობა ყოველ თავში და მთლიანად წიგნის მოცულობა. ამ ანგარიშის მცირე ცდომილებაც კი სტრუქტურული ცვლილებისკენ უბიძგებდა. მცირე მექანიკურ შეცდომას, როგორც შემოქმედებით კრახს, ისე განიცდიდა.

მწერლის პროფესიული ჩვევებისა და „საყვარელი დემონების“ (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ) შესახებ ამ რომანში კიდევ ბევრ უცნობ ფაქტს გავეცნობით. როდესაც „ფოთოლცვენას“ წერდა, დიდხანს ვერ გადაწყვიტა რომანის სახელწოდება. რვეულში ინიშნავდა ყველა შესაძლო ვარიანტს. ოთხმოცზე მეტი სათაური დამიგროვდა და ბოლოს, როდესაც პროლოგის დაწერის სურვილი გადავლახე, სახეში ისევ პირველი ვერსია შემომეფეთაო, იხსენებს.

ამ წიგნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე გაბრიელ გარსია მარკესის მკითხველისათვის შედარებით უცნობი მხარე – მისი ჟურნალისტური მოღვაწეობაა.

ამ პროფესიის მიმართ მთელი ცხოვრება ნამდვილი ვნებით იყო შეპყრობილი. რეპორტაჟი მსოფლიოში საუკეთესო პროფესიის უმაღლეს ჟანრად მიმაჩნიაო, წერდა. სწორედ რეპორტაჟს უწოდებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას, „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას“, რომელსაც საფუძვლად რეალური ისტორია დაედო. ისტორია, რომლის დაწერის სურვილიც ოცდაათი წელი ტანჯავდა და მხოლოდ მაშინ გაბედა, როდესაც დედამისმა, ლუისა მარკესმა, ამ ტრაგედიის შესახებ დაწერის ნება დართო, თუმცა არასოდეს წაუკითხავს მოთხრობა, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ნამდვილ შედევრად იქცა, არ წაუკითხავს დედის იმ სიტყვების გამო, მთელი ცხოვრება რომ გულში უძვირფასესი სამკაულივით ატარა: „ის, რაც ცხოვრებაში ასე ცუდად დამთავრდა, არ შეიძლება, წიგნში კარგად გამოვიდეს“. არადა, მე თავისთავად დანაშაული კი არა, დანაშაულზე კოლექტიური პასუხისმგებლობის ლიტერატურული თემა მაინტერესებდაო, დაწერს მოგვიანებით მარკესი.

ცხადია, რომ ამ მოთხრობის ეთიკური ღერძი „მსხვერპლისა და ჯალათის“ ურთიერთობაზე კი არა, სწორედ დანაშაულის გარშემო მყოფი ადამიანების შინაგან პასუხისმგებლობაზე გადის. გავიხსენოთ სანტიაგოს დედა, რომელმაც სასიკვდილოდ განწირულ შვილს კარი ჩაურაზა; მლესავი, რომელმაც დანა უხალისოდ ალესა; ძმები, რომლებიც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იძულებულები არიან, საზოგადოებრივი „დაკვეთა“ შეასრულონ და დის ღირსების დასაცავად სანტიაგო ნასარი მოკლან; და, რომელმაც მთელი დარჩენილი სიცოცხლე უნდა ატაროს მარტოობისა და სინანულის ტვირთი. რაღაც უხილავი მანქანებით თითქოს ყველა მსხვერპლი ხდება.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ დაწვრილებით გვიამბობს მწერლობასა და ჟურნალისტიკაში გაბრიელ გარსია მარკესის პირველი ნაბიჯების შესახებ.

თავისი მოთხრობის პირველ პუბლიკაციას სრულიად შემთხვევით კაფეში წააწყდა. პირველი განცდა, რომელიც დამეუფლა, ის იყო, გაზეთის საყიდელი ხუთი სენტავო არ მქონდაო, იხსენებს. არადა, ხუთი სენტავო ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო სიღატაკისა, რადგან კოლუმბიაში მაშინ ხუთი სენტავო ყველაზე ელემენტარული საგნები ღირდა: ყავა, პური, გაზეთი... სასოწარკვეთილი მწერალი ქუჩაში გავარდება და დაინახავს, რომ ტაქსიდან უცნობი დარბაისელი მამაკაცი გადმოვა, რომელსაც ხელში გაზეთი უჭირავს. „მივედი და პირდაპირ ვთხოვე, რომ ეჩუქებინა“. აჩუქეს!

როდესაც თავის პირველ პუბლიკაციებზე საუბრობს, მარკესს სხვა საგულისხმო დეტალიც არ რჩება ყურადღების მიღმა. ტექნიკური გაუმართაობის გარდა, ამ მოთხრობების მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ადამიანის „გულის უცნაურობებს“ არ ვიცნობდიო. ამ რომანის მთავარი სათქმელიც ადამიანია – თავისი გულის უცნაურობით, იდუმალი ვნებებითა და სურვილებით, ადამიანი, რომელშიც ბოლომდე გაერთიანდა მაგიურისა და რეალურის მთელი მშვენიერება.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ დიდი მწერლის შემოქმედების გზამკვლევია, უფრო მეტიც, სავალდებულო საკითხავი კაცობრიობის იმ მშვენიერი ნაწილისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ „დიდი წიგნები მხოლოდ ქაღალდზე არ იწერება. დიდ წიგნებს ცხოვრება წერს და ყოველთვის მაშინ, როდესაც ყველაზე ნაკლებად ველოდებით“.

**ესაუბრა ნატო გორდელაძე**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# უმბერტო ეკო გარდაიცვალა

გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი მწერალი, მეცნიერი და პუბლიცისტი უმბერტო ეკო (1932-2016).

მისი ნაწარმოებები მრავალ ენაზეა თარგმნილი. ეკოს რომანი „ვარდის სახელი" ტრიუმფით იქნა ეკრანიზებული და თბილისის კინოეკრანებზეც გადიოდა.



ეკო ბუღალტრის ოჯახში დაიბადა, დაამთავრა ტურინის უნივერსიტეტი, სადაც ფილოლოგიასა და შუა საუკუნეების ფილოსოფიას დაეუფლა.

თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ეკო ამბობს, რომ სწორედ სტუდენტობისას გაუქარწყლდა ღვთისადმი რწმენა და დაჯერებულ ათეისტად გადაიქცა.

ეკოს შემოქმედება მრავალფეროვანია. მის კალამს ეკუთვნის რომანები, მოთხრობები, სამეცნიერო ბიოგრაფიები, ესეები.

ეკო ბონდიანის დარგში აღიარებულ ექსპერტად ითვლება. მისი სამეცნიერო გამოკვლევები მწერალ იენ ფლემინგსა და მის გმირ ჯეიმს ბონდზე 18 ენაზეა თარგმნილი.

ეკო ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, იყო ტურინისა და ბოლონიის უნივერსიტეტების პროფესორი, ამას გარდა, მოღვაწეობდა ტელევიზიაში, იყო გაზეთ „ექსპრესოს" მიმომხილველი.

# ჰარპერ ლი გარდაიცვალა

გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი მწერალი ჰარპერ ლი (1926-2016), ავტორი რომანისა „მოჰკალ შუამავალი".



აღნიშნული ნაწარმოები მსოფლიო ბესტსელერად იქცა და ტრიუმფით იქნა ეკრანიზებული. მის მიხედვით შექმნილი პიესა თავის დროზე რუსთაველის თეატრის სცენაზეც დაიდგა.

ლი ამერიკული ლიტერატურის „სამხრეთულ სკოლას" განეკუთვნება. ის ამხელს რასიზმს, ქსენოფობიას, ქადაგებს ჰუმანისტურ და დემოკრატიულ იდეალებს.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

# ჰილარი კლინტონმა ნევადაში გაიმარჯვა, ტრამპმა — სამხრეთ კაროლინაში

## ჯეფ ბუში საარჩევნო მარათონს გამოეთიშა



აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ნევადის შტატში გამარჯვება მოიპოვა. მან ხმების 52 პროცენტი დააგროვა, მისმა მოწინააღმდეგე ბარნი სანდერსმა კი – 47.

– ნევადელებმა სწორი არჩევანი გააკეთეს. ამას მივესალმები, – თქვა ჰილარი კლინტონმა.

რესპუბლიკელებს შორის კვლავ ტრამპი ლიდერობს. სამხრეთ კაროლინის შტატში მან ხმების 34 პროცენტი მიიღო, მისმა მოწინააღმდეგეებმა მარკო რუბიომ და კრუზმა კი – 21 პროცენტი.

საპრეზიდენტო მარათონს გამოეთიშა ჯეფ ბუში, რომელსაც არჩევნების დაწყებამდე ერთ-ერთ ფავორიტად თვლიდნენ.

# ქემერონი: „რეფერენდუმი ჩვენი ევროკავშირში დარჩენის შესახებ 23 ივნისს ჩატარდება"



ინგლისის პრემიერმა ქემერონმა ბრიუსელის ბრძოლა მოიგო.

ასე შეაფასეს მსოფლიოს წამყვანმა ექსპერტებმა ქემერონის ბრიუსელში ვიზიტის შედეგები.

ორდღიანი დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად ბრიტანეთის პრემიერმა მიაღწია იმას, რომ ინგლისს უფლება ეძლევა, არ მისცეს სოციალური შეღავათები ევროკავშირის ქვეყნებიდან ბრიტანეთში შესულ მიგრანტებს.

გარდა ამისა, ბრიტანეთი ევროზონის წევრი არასოდეს გახდება, მისი არმიაც ევროპის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ შევა.

ამის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერმა გამოაცხადა რეფერენდუმის თარიღი, რომელმაც ინგლისის ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენის საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

ბრიუსელის მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემდეგ ალბათობა იმისა, რომ ინგლისი ევროკავშირში დარჩება, დიდია.

– ყველაფერს ვიღონებ საიმისოდ, რათა ჩემი თანამემამულეები დავარწმუნო, რომ ევროკავშირში დარჩენა აუცილებელია, – განაცხადა ქემერონმა.

ბრიუსელში მოლაპარაკებების შემდეგ ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის მომხრეთა რაოდენობა 77 პროცენტამდე გაიზარდა.

# გაერომ რუსეთის რეზოლუცია უარყო



გაეროს უშიშროების საბჭომ სირიასთან დაკავშირებით რუსეთის რეზოლუცია უარყო.

ის თურქეთის მიმართ სანქციების შემოღებას ითვალისწინებდა.

რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, ახალი ზელანდია და უკრაინა.

რუსული რეზოლუციის ჩაგდება ყველაზე მტკივნეულად ქურთებმა აღიქვეს. მათი ლიდერები რუსეთს თურქეთში ჯარების შეყვანას სთხოვენ.

– თუკი თურქეთს ჭკუას არ ასწავლით, ყველა ქურთს ამოხოცავენ, – აცხადებენ ისინი.

# ანტიდასავლური მიტინგი ბელგრადში

ბელგრადში ანტიდასავლური აქცია მოეწყო. მისი ორგანიზატორები ნეოფაშისტური პანსლავისტური ორგანიზაციები იყვნენ.

მათ პროტესტი გამოთქვეს სერბეთის ნატოსთან დაახლოების წინააღმდეგ და ხელისუფლებას რუსეთთან სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირისაკენ მოუწოდეს.

აქციაში 15.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ მოჰქონდათ პუტინის პორტრეტი და ტრანსპარანტები, რომლებზეც დიდი ასოებით ეწერა: „ღმერთი და რუსეთი".




– არა ნატოს, რომელიც ბელგრადს ბომბავდა და იუგოსლავია დაგვინგრია! გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას მოძმე მართლმადიდებელ რუსეთთან, – სკანდირებდნენ მომიტინგენი.

ერთ-ერთ პლაკატზე დიდი ასოებით ეწერა: „მოვითხოვთ, რომ ჩვენმა მთავრობამ დონეცკ-ლუგანსკის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღიაროს!"

მომიტინგეები რუსეთის საელჩოსთან შეჩერდნენ. აქ მათ რუსულ ენაზე შეასრულეს სიმღერა:

– აღსდექ, დიადო ქვეყანავ...

ამის შემდეგ აქცია დაიშალა.

# კიევში მაიდანი აღნიშნეს



უკრაინამ ღირსების რევოლუციის მეორე წლისთავი აღნიშნა.

კიევის ცენტრში, მაიდანზე, ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი. მათ დაღუპული „ზეციური ასეულის" პატივსაცემად სანთლები აანთეს და მაიდანზე ყვავილები დააწყვეს.

ანალოგიური აქციები გაიმართა ლვოვში, ოდესაში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, ჩერნიგოვში და ა.შ.

ამავე დროს, მოქალაქეთა ჯგუფმა კიევის ცენტრში საპროტესტო აქცია დაიწყო. მათ დაიკავეს სასტუმრო „კოზაცკაია" და განაცხადეს, რომ მემარჯვენე სექტორის რევოლუციური ფრთის წარმომადგენლები არიან. ისინი ხელისუფლებისგან რადიკალურ რეფორმებს, კორუფციასთან ბრძოლას და რუსული მეხუთე კოლონის ალაგმვას მოითხოვენ.

მოქალაქეთა მეორე ჯგუფმა ქვები დაუშინა რუსული ბანკების ფილიალს კიევში.

– აქცია არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ ის წარმოადგენს გაფრთხილებას ხელისუფლებისათვის. მოსახლეობა რეფორმებსა და კორუფციასთან ბრძოლას მოითხოვს. თუ ასე არ მოხდა, აქციები ბევრად მრავალრიცხოვანი გახდება, – ამბობს უკრაინის პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ინა ბოგოსლოვსკაია.

უკრაინელთა 80 პროცენტი მხარს ევროკავშირში შესვლას უჭერს, ნატოში გაწევრიანების მომხრეა 68 პროცენტი, უკრაინის ფედერალიზაციის მომხრეთა რაოდენობა კი მხოლოდ 4 პროცენტია. რუსეთთან გაერთიანების მომხრეთა რიცხვი 3 პროცენტია, დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას მხარს 12 პროცენტი უჭერს. რუსეთის აგრესიის შემთხვევაში მოსახლეობის 61 პროცენტი მზადაა, სამშობლო იარაღით დაიცვას.

ამავე დროს, 86 პროცენტი თვლის, რომ პოროშენკოს ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიჰყავს. პრემიერ იაცენიუკის რეიტინგი 1 პროცენტია.

შეკითხვას, მზად ხართ თუ არა, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეობა მიიღოთ, დადებითი პასუხი 66-მა პროცენტმა გასცა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


# განცხადებები

## მკურნალობა

● ანტითამბაქო – მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო შედეგიანი პარასამკურნალო საშუალება, რომელიც დაგეხმარებათ თამბაქოზე თავის დანებებაში – ფიტოკომპანია „ედელვაისისგან". ფასი 60-65 ლარი. შეგვიძლია ადგილზე მოწოდებაც და რეგიონებში გაგზავნაც მოთხოვნის შემთხვევაში. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი", „პახმელია", „ზაპოი", ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის", თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● 50 წლის პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის" ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7" – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე

# დინამომ და დილამ მოგებებით დაიწყეს

**საბურთალო – ცხინვალი 2:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი. სათადარიგო**

1:0 ხარაიშვილი (2), 2:0 ფანცულაია (35), 2:1 ივანიშვილი (49), 2:2 გორგიაშვილი (63პ)

**საბურთალო:** გოშაძე, თოთაძე, მარგველაშვილი, იაშვილი, ხარაიშვილი, სოფრომაძე (ჩაბრაძე 57), ბიძინაშვილი (ცაწკრიალაშვილი 57), ალთუნაშვილი (ქურდაძე 62), ელვინი, ფანცულაია, გოშთელიანი

**ცხინვალი:** ნადირაძე, ჯაფარიძე, მაისაშვილი (ბურძენაძე 31), ბუტუევი, ცერცვაძე, ნოზაძე (ბეჟვაია 46), გორგიაშვილი, ლექვთაძე (ლობჟანიძე 78), ქოჩლაძე, ქარდავა, ივანიშვილი

**გაძევება:** გოშაძე (61), ბურძენაძე (71)

გიორგი ჭიაბრიშვილის გაწვრთნილმა ახალგაზრდულმა საბურთალომ პირველი ტაიმი ორბურთიანი უპირატესობით მოიგო, მაგრამ მეორე ტაიმის 15- წუთიან მონაკვეთში ორი ბურთი გაუშვა და მატჩი ფრედ დაასრულა.

მთლიანობაში საბურთალოელთა უპირატესობა ჩანდა, განსაკუთრებით – პირველ ნახევარში. მატჩი 2 წუთის დაწყებული იყო, რომ გიორგი ხარაიშვილმა ანგარიში გახსნა, თუმცა უნდა ითქვას, რომ დარტყმის დროს, ბურთი ერთ-ერთ ცხინვალელ ფეხბურთელს მოხვდა და ისე აღმოჩნდა ბადეში. ცოტა ხანში კი, ანდრო სოფრომაძის დარტყმის შემდეგ, სტუმრები მეორე გაშვებულ გოლს მეკარე გიორგი ნადირაძემ გადაარჩინა. უნდა აღინიშნოს, რომ ნადირაძემ რამდენიმე რთულად ასაღები ბურთი მოიგერია და ის, რომ ცხინვალმა ქულის მოპოვება შეძლო, გარკვეულწილად მისი დამსახურებაა.

36-ე წუთზე კი ცხინვალელები ვეღარ გადაარჩინა, გოლი კი მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა – ხარაიშვილის წამოწყებული იერიში ნოდარ იაშვილმა გააგრძელა, რომელმაც ფლანგიდან ჩააწოდა და გიორგი ფანცულაიამ ნახტომში ლამაზი გოლი გაიტანა – 2:0.

ტაიმის ბოლოსკენ სტუმრებს მიეცათ ხელსაყრელი ეპიზოდი, მაგრამ ოთო გოშაძემ დამაჯერებლად ითამაშა.

მეორე ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა – 49-ე წუთზე ცხინვალმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, შედეგიანი დარტყმა გიორგი ივანიშვილმა განახორციელა. 61-ე წუთზე კი საბურთალოელები რთულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, როდესაც მთავარმა არბიტრმა გოგა კიკაჩეიშვილმა საბურთალოელთა კარში პენალტი დანიშნა და მეკარე გოშაძე გააძევა. გოშაძის გაძევება ცოტა საკამათო იყო. თერთმეტმეტრიანი დარტყმა თორნიკე გორგიაშვილმა გამოიყენა, რომელმაც ანგარიში თანაბარი გახადა.

10 წუთში ფეხბურთელებმა თანაბრად განაგრძეს თამაში, როდესაც უხეშობისთვის სტუმარ უჩა ბურძენაძეს მოუხდა მინდვრის დატოვება, თუმცა იმ პერიოდში ცხინვალი სათამაშო უპირატესობას დაეუფლა – ერთ-ერთ შეტევისას კი საბურთალოელები აშკარა გოლისგან გადარჩნენ, როდესაც ახლო მანძილიდან ცხინვალელმა ფეხბურთელებმა ვერ გაიტანეს.

75-ე წუთიდან მოყოლებული ტერიტორიულ უპირატესობას კვლავ ჭიაბრიშვილის ბიჭები დაეუფლნენ – მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტუმარმა მეკარე ნადირაძემ ფანცულაიას თავით დარტყმულზე ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და თავისიანები აშკარა გოლისგან იხსნა. საბურთალომ ერთიც გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ესეც საკამათო ეპიზოდი იყო.

ბოლოსკენ ცხინვალსაც შეეძლო გატანა, როდესაც ივანიშვილი ტექნიკურად უგდებდა წინ გამოსულ მეკარეს ბურთს თავზე, მაგრამ დარტყმული ძლიერი აღმოჩნდა და ზემოდან გადაევლო საბურთალოს კარს.

**საპოვნელა – დინამო 1:2**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 ჩიკვილაძე (67), 1:1 ქვილითაია (79) 1:2 იაშვილი (90პ)

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ჩიკვილაძე, ჭელიძე, ვაჭარაძე, ოდიკაძე, შარიქაძე, ნარიმანიძე, ბოლქვაძე, მიქაბერიძე (ტყეშელაშვილი 64), მაკარიძე (ბუხაიძე 46), დვალი

**დინამო:** ჰრდლიჩკა, გურული (არაბული 75), ამისულაშვილი, რენე, უ.ლობჟანიძე, ცინცაძე (პარუნაშვილი 48), ჯიღაური, კიტეიშვილი, ჭანტურიშვილი, იაშვილი, ნ.გელაშვილი (ქვილითაია 55)

გუნდებმა მატჩი მძიმედ დაიწყეს. ძირითადად ბრძოლა მოედნის ცენტრში უპირატესობის მოსაპოვებლად მიმდინარეობდა, სახიფათო მომენტები გუნდებმა თითო თითოჯერ გაცვალეს. ტაიმის შუაში მასპინძელთა შეტევისას ლიბორ ჰრდლიჩკამ იყოჩაღა და ჯაბა დვალს ბურთი ფეხიდან აართვა, ხოლო ბოლო წუთზე ალექსანდრე იაშვილის დარტყმული მოიგერია გიორგი სომხიშვილმა. მანამდე ნიკოლოზ გელაშვილის თავით დარტყმული ოდნავ ასცდა თერჯოლელთა კარს.

მეორე ტაიმი კი სულ სხვა სცენარით, დაძაბულად და დრამატულად წარიმართა. სათამაშო უპირატესობა მთლიანად დინამომ მოიპოვა და არაერთი სახიფათო შეტევაც განახორციელა. მატჩის 67-ე წუთზე კი თბილისელთა კართან საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც თენგიზ ჩიკვილაძემ გოლად გარდასახა და მასპინძლები დააწინაურა.

სტუმრებმა მოედანზე გიორგი ქვილითაია შეუშვეს, რომელმაც 79-ე წუთზე მცველების შეცდომით ისარგებლა და სტატუსკვო აღადგინა – 1:1. ბოლო წუთებმა საინტერესოდ ჩაიარა, მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-5 წუთზე კი იურაი იარაბეკის გუნდმა თერთმეტმეტრიანი დარტყმის უფლება მოიპოვა. გამარჯვების მომტანი გოლი კი მასპინძელთა კარში ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა. თუმცა, უნდა ავღვნიშნოთ, რომ მანამდე იაშვილს მეკარემ აუღო და დამატებაზე ჯიღაურმა გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ის გოლი არ ჩათვალა და იაშვილს ხელმეორედ დაარტყმევინა.



**კოლხეთი – დილა 0:1**

**სამტრედია.ეროსი მანჯგალაძე**

0:1 კვირკვია (61)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, შალიკაშვილი (კაკულია 83), გ.კილასონია, თევზაძე, თუხარელი, გოგონაია, გურეშიძე (გიგაური 70), პოლულიახი, ჟიშკარიანი, ნიქაბაძე (ლ.სიჭინავა 72), ტუღუში

**დილა:** მუჯრიშვილი, კვირკველია, კვახაძე, ხურცილავა (ლომიძე 43), ბაგაევი, ძარია, საბაძე, წიქარიძე, კვირკვია (თექთურმანიძე 90), მოდებაძე, ჩელებაძე (ნონიკაშვილი 71)

დილამ დაგეგმილი და დამსახურებული 3 ქულა ჩაიწერა აქტივში. ერთადერთი გოლი 61-ე წუთზე გავიდა – ფოთელი მცველები შეცდნენ, საბაძე ფლაგნზე მეტოქეს გასცდა და საჯარიმოში ზუსტი პასი გაუკეთა ირაკლი მოდებაძეს, რომელმაც, თავის მხრივ, მარჯვნივ მარტოდ მყოფი მათე კვირკვია მონახა და მასაც გატანა არ გასჭირვებია – 0:1.

**სიონი – გურია 1:1**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

1:0 კილასონია (33პ), 1:1 მოროზენკო (37)

**სიონი:** მერლანი, სვანიძე, ვ.კილასონია, ფოფხაძე, საჯაია, შულაია (უგულავა 72), რაზმაძე, გვალია (კობახიძე 82), მანჯგალაძე, გოგობერიშვილი (ისიანი 66), ტატანაშვილი

**გურია:** პოლტავცევი, ჩადუნელი, კილაძე, ნოზაძე, გამყრელიძე, ბენეტ აივინი, ჟუნიორი (ტობოევი 57), ნუნიესი, მოროზენკო, გელაშვილი, ალავერდაშვილი

6 ლეგიონერი ათამაშა გურიამ ბოლნისში და გუნდსაც დაეტყო გაძლიერება. მართალია, ბოლნისელები ვარლამ კილასონიას პენალტით დაწინაურდნენ, მაგრამ გურია მარცხისგან ლეგიონერმა იხსნა.

**ლოკომოტივი – ჩიხურა 2:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 კირკიტაძე (25), 1:1 გავაშელიშვილი (38), 1:2 ჩიკვაიძე (77), 2:2 კიკნაძე (82)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჩიტეიშვილი, ჭანტურია (სამურკასოვი 61), გეთიაშვილი, გავაშელიშვილი (კიკნაძე 74), ქიქავა, სულთანიშვილი, მზევაშვილი (ცხადაძე 41), მახარაძე, ბენაშვილი, არდაზიშვილი

**ჩიხურა:** კუპატაძე, კირკიტაძე (კუჭუხიძე 46), რეხვიაშვილი, განუგრავა, დეკანოიძე, კორიფაძე, ჭეჭელაშვილი (ენუქიძე 46, ჭანკოტაძე 72), სარდალიშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია

ორჯერ იგებდნენ საჩხერელები მატჩს, მაგრამ ვერ მოახერხეს მისი შენარჩუნება და საბოლოოდ შინ მხოლოდ ქულით დაბრუნდნენ.

**ზუგდიდი – დინამო (ბთ) 0:1**

**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

0:1 მიხაილოვიჩი (42)

**ზუგდიდი:** ზარქუა, გაგოშიძე, ჩუკვურა (თიბილაშვილი 89), ქანთარია, ტყემალაძე, სამუშია, ჩებოტარევი, მალანია, ქირია (ქობალია 61), ჩანადირი, სამუშია

**დინამო:** ალავიძე, სუხიაშვილი, მიხაილოვიჩი, ტვილდიანი, შონია, ქავთარაძე, გოგიტიძე, კაშია (თევდორაძე 79), ფონიავა (ქორიძე 90), ვარშანიძე, კომაზეცი

ლეგიონერის გოლით მოიგო ბათუმის დინამომაც. ზღვისპირელებს სადებიუტო მატჩში 3 ქულა მოუტანა მიხაილოვიჩმა, რომელმაც კუთხურის შემდეგ თავით გადაგზავნა ბურთი კარში.

**შუქურა – სამტრედია 1:1**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

1:0 დოლიძე (22), 1:1 ზივზივაძე (50)

**შუქურა:** ჯიოევი, აფაქიძე, მალანია, გეგეჭკორი, დოლიძე, პუკანიჩი (გეწაძე 58), ჩალაძე, თარხნიშვილი, მოსიაშვილი (ბრაჭული 87), კომახიძე, ლობჟანიძე (კაკალაძე 68)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, ცნობილაძე, ენდელაძე, მარკოზაშვილი (ჯიქია 75), რაჟამაშვილი (იოსელიანი 68), სიხარულიძე, ზივზივაძე

გრიგოლ დოლიძის ულამაზესი გოლით დაწინაურდა შუქურა, მაგრამ მეორე ტაიმში ზივზივაძემ შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

**მერანი – ტორპედო 2:1**

**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

1:0 ხაბელაშვილი (6), 1:1 მამასახლისი (59), 2:1 ხაბელაშვილი (78)

**მერანი:** მამალაძე, ორბელაძე, მელიავა, გიორგაძე, კიკნაველიძე, ტეიდი, ხაბელაშვილი (აშორტია 82), ჯღამაია (გოგუაძე 61), ჩიმაკაძე, ჯიქია, საბანაძე (გაზდელიანი 90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მირცხულავა, ქიმაძე (შინდაგორიძე 46), ფანცხავა, კლიმიაშვილი, ნერგაძე, კუხიანიძე, კაპანაძე, ბრეგვაძე, ტუღუში (მამასახლისი 46), წილოსანი (საღრიშვილი 82)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო(თბ) | 16 | 14 | 1 | 1 | 45-14 | 43 |
| 2.დილა | 16 | 12 | 2 | 2 | 31-12 | 38 |
| 3.ცხინვალი | 16 | 10 | 3 | 3 | 35-20 | 33 |
| 4.სიონი | 16 | 9 | 3 | 4 | 32-20 | 30 |
| 5.დინამო(ბთ) | 16 | 8 | 5 | 3 | 28-15 | 29 |
| 6.სამტრედია | 16 | 9 | 2 | 5 | 33-20 | 29 |
| 7.ჩიხურა | 16 | 8 | 3 | 5 | 24-14 | 27 |
| 8.შუქურა | 16 | 6 | 4 | 6 | 18-17 | 22 |
| 9.საბურთალო | 16 | 6 | 3 | 7 | 25-29 | 21 |
| 10.ტორპედო | 16 | 5 | 5 | 6 | 26-28 | 20 |
| 11.კოლხეთი | 16 | 5 | 3 | 8 | 13-20 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 16 | 4 | 3 | 9 | 19-24 | 15 |
| 13.გურია | 16 | 2 | 5 | 9 | 13-30 | 11 |
| 14.ზუგდიდი | 16 | 1 | 5 | 10 | 12-35 | 8 |
| 15.საპოვნელა | 16 | 2 | 2 | 12 | 11-38 | 8 |
| 16.მერანი | 16 | 2 | 1 | 13 | 12-41 | 7 |

## შედეგები

**20 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

კარდიფი-ბრაიტონი ...................... 4:1
ბარნლი-როტერჰემი ...................... 2:0
ბოლტონი-ქპრ ............................. 1:1
ბრენტფორდი-დერბი ..................... 1:3
მილტონი-ბრისტოლი ..................... 0:2
პრესტონი-უენსდი ........................ 1:0
ფულემი-ჩარლტონი ...................... 3:0
ჰადერსფილდი-ვულვზი ................. 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლას პალმასი-ბარსელონა ............. 1:2
ესპანიოლი-დეპორტივო ............... 1:0
ბეტისი-ხიხონი ............................ 1:1
სელტა-ეიბარი ............................. 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 20 | 3 | 2 | 67-20 | 63 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 17 | 3 | 4 | 35-11 | 54 |
| 3.რეალი | 24 | 16 | 5 | 3 | 70-23 | 53 |
| 4.ვილიარეალი | 24 | 14 | 6 | 4 | 30-18 | 48 |
| 5.სევილია | 24 | 11 | 7 | 6 | 34-24 | 40 |
| 6.სელტა | 25 | 11 | 5 | 9 | 38-44 | 38 |
| 7.ეიბარი | 25 | 10 | 6 | 9 | 40-34 | 36 |
| 8.ბილბაო | 24 | 10 | 5 | 9 | 35-34 | 35 |
| 9.დეპორტივო | 25 | 6 | 14 | 5 | 33-31 | 32 |
| 10.სოსიედადი | 24 | 8 | 6 | 10 | 34-34 | 30 |
| 11.მალაგა | 24 | 8 | 6 | 10 | 21-21 | 30 |
| 12.ვალენსია | 24 | 6 | 10 | 8 | 28-25 | 28 |
| 13.ბეტისი | 25 | 6 | 9 | 10 | 19-34 | 27 |
| 14.ხეტაფე | 25 | 7 | 5 | 13 | 26-39 | 26 |
| 15.ესპანიოლი | 25 | 7 | 4 | 14 | 22-48 | 25 |
| 16.რაიო | 24 | 6 | 6 | 12 | 32-49 | 24 |
| 17.ხიხონი | 25 | 6 | 6 | 13 | 28-42 | 24 |
| 18.ლას პალმასი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-40 | 21 |
| 19.ლევანტე | 25 | 5 | 5 | 15 | 24-45 | 20 |
| 20.გრანადა | 24 | 5 | 5 | 14 | 25-49 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალბასეტე-მირანდესი ................... 1:1
ალკორკონი-ბილბაო ბ ................. 1:0
ლუგო-ლეგანესი ......................... 1:2
მალიორკა-ხიმნასტიკი ................. 2:2
პონფერადინა-კორდობა ............... 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-დარმშტადტი .................. 3:1
გლადბახი-კიოლნი ...................... 1:0
ჰერტა-ვოლფსბურგი .................... 1:1
ჰოფენჰაიმი-მაინცი ..................... 3:2
ინგოლშტადი-ვერდერი ................. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 19 | 2 | 1 | 56-11 | 59 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 15 | 3 | 3 | 53-24 | 48 |
| 3.ჰერტა | 22 | 10 | 6 | 6 | 30-24 | 36 |
| 4.ლევერკუზენი | 21 | 10 | 5 | 6 | 31-22 | 35 |
| 5.გლადბახი | 22 | 11 | 2 | 9 | 43-38 | 35 |
| 6.შალკე | 21 | 10 | 3 | 8 | 30-28 | 33 |
| 7.მაინცი | 22 | 10 | 3 | 9 | 29-28 | 33 |
| 8.ვოლფსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 32-29 | 31 |
| 9.კიოლნი | 22 | 7 | 8 | 7 | 24-28 | 29 |
| 10.ინგოლშტადტი | 22 | 8 | 5 | 9 | 16-23 | 29 |
| 11.ჰამბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-30 | 27 |
| 12.შტუტგარტი | 21 | 8 | 3 | 10 | 33-41 | 27 |
| 13.დარმშტადტი | 22 | 6 | 6 | 10 | 23-34 | 24 |
| 14.აინტრახტი | 22 | 5 | 7 | 10 | 27-37 | 22 |
| 15.აუგსბურგი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-31 | 21 |
| 16.ვერდერი | 22 | 5 | 5 | 12 | 25-44 | 20 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 22 | 3 | 9 | 10 | 22-33 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 21 | 4 | 2 | 15 | 19-36 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-ჰაიდენჰაიმი ................... 2:2
კარლსრუე-ბრაუნშვაიგი ............... 2:2

**იტალია. სერია ა**

ვერონა-კიევო ............................. 3:1
ინტერი-სამპდორია ...................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 46-15 | 58 |
| 2.ნაპოლი | 25 | 17 | 5 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.ფიორენტინა | 25 | 15 | 4 | 6 | 44-24 | 49 |
| 4.ინტერი | 26 | 14 | 6 | 6 | 34-23 | 48 |
| 5.რომა | 25 | 13 | 8 | 4 | 47-27 | 47 |
| 6.მილანი | 25 | 12 | 7 | 6 | 37-27 | 43 |
| 7.ლაციო | 25 | 10 | 6 | 9 | 34-34 | 36 |
| 8.სასუოლო | 25 | 8 | 11 | 6 | 29-29 | 35 |
| 9.ბოლონია | 26 | 10 | 4 | 12 | 29-31 | 34 |
| 10.ემპოლი | 25 | 9 | 7 | 9 | 30-34 | 34 |
| 11.კიევო | 26 | 8 | 7 | 11 | 31-36 | 31 |
| 12.ტორინო | 25 | 8 | 7 | 10 | 33-33 | 31 |
| 13.ატალანტა | 25 | 7 | 8 | 10 | 23-27 | 29 |
| 14.უდინეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-38 | 27 |
| 15.პალერმო | 25 | 7 | 5 | 13 | 27-42 | 26 |
| 16.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 25-30 | 25 |
| 17.სამპდორია | 26 | 6 | 7 | 13 | 37-46 | 25 |
| 18.ფროზინონე | 25 | 6 | 4 | 15 | 26-51 | 22 |
| 19.კარპი | 25 | 4 | 7 | 14 | 23-43 | 19 |
| 20.ვერონა | 26 | 2 | 12 | 12 | 24-43 | 18 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-კომო .............................. 1:0
ვიჩენცა-აველინო ......................... 0:0
კალიარი-პესკარა ......................... 2:1
ლივორნო-ჩეზენა ......................... 1:1
მოდენა-ბრეშა .............................. 1:0
ნოვარა-ტერნანა ........................... 1:2
პრო ვერჩელი-ვირტუსი ................. 2:3
სპეცია-ლანჩანო ........................... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-რეიმსი ................................. 4:1
ანჟე-მონპელიე ............................ 2:3
მონაკო-ტრუა .............................. 3:1
ლორიანი-გენგამი ......................... 4:3
ტულუზა-გაზელეკი ....................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 4 | 0 | 67-13 | 73 |
| 2.მონაკო | 27 | 13 | 10 | 4 | 40-30 | 49 |
| 3.ნიცა | 27 | 11 | 8 | 8 | 39-30 | 41 |
| 4.სტ.ეტიენი | 26 | 12 | 4 | 10 | 31-29 | 40 |
| 5.ლიონი | 26 | 11 | 6 | 9 | 38-28 | 39 |
| 6.ნანტი | 26 | 10 | 9 | 7 | 26-24 | 39 |
| 7.რენი | 26 | 9 | 11 | 6 | 34-31 | 38 |
| 8.ანჟე | 27 | 10 | 7 | 10 | 27-27 | 37 |
| 9.ბორდო | 27 | 9 | 10 | 8 | 36-39 | 37 |
| 10.კაენი | 26 | 11 | 3 | 12 | 27-35 | 36 |
| 11.მარსელი | 26 | 8 | 11 | 7 | 36-27 | 35 |
| 12.ლორიანი | 27 | 8 | 10 | 9 | 39-41 | 34 |
| 13.ბასტია | 26 | 10 | 4 | 12 | 25-29 | 34 |
| 14.მონპელიე | 27 | 9 | 5 | 13 | 33-33 | 32 |
| 15.ლილი | 26 | 6 | 13 | 7 | 20-20 | 31 |
| 16.გენგამი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-38 | 31 |
| 17.რეიმსი | 27 | 7 | 8 | 12 | 28-38 | 29 |
| 18.გაზელეკი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-38 | 28 |
| 19.ტულუზა | 27 | 4 | 10 | 13 | 26-45 | 22 |
| 20.ტრუა | 27 | 2 | 8 | 17 | 20-56 | 14 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-კრეტეი .......................... 1:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ალკმაარი-გრონინგენი .................. 4:1
ჰერენვენი-ნაიმეგენი .................... 1:1
პსვ-ჰერაკლესი ............................ 2:0
ტვენტე-კამბური ........................... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აკადემიკა-ბენფიკა ....................... 1:3
აკადემიკა-რიუ ავე ....................... 0:2

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

დ.იუნაიტედი-ჰართსი .................. 2:1
კილმანროკი-დანდი ..................... 0:0
როსი-ჰამილტონი ......................... 2:1
სელტიკი-ინვერნესი ..................... 3:0
სტ.ჯონსონი-მოზერველი .............. 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ციურიხი ........................ 0:0
იანგ ბოიზი-თუნი ......................... 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-მატერსბურგი ................. 2:2
ადმირა-რიდი .............................. 0:0
ვოლფსბერგერი-გროდიგი ............. 2:0
ზალცბურგი-ალტახი .................... 2:0

**ბელგია. პრო ლიგა**

სტანდარდი-შარლერუა ................ 3:0
კორტრაიკი-სტ.ტრუიდენი ............ 3:0
მუსკრონი-ლეუვენი ...................... 3:1
ლოკერენი-გენკი .......................... 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-კალონისი ............... 1:0
ასტერასი-იანინა ......................... 0:0
ირაკლისი-აეკი ............................ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ესკიშეჰირი ................. 2:1
ანთალია-რიზე ............................. 2:1
ბურსა-ფენერბახჩე ....................... 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბანიკი-ზლინი ............................. 3:0
ბოჰემიანსი-დუკლა ...................... 1:0
ბრნო-სიგმა ................................. 2:0
პრჟიბრჟამი-სლოვაცკო ................ 0:1
ლიბერეცი-იაბლონეცი .................. 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ლეხია ............................. 4:2
ნეცეჩა-კრაკოვია ......................... 1:1
პოდბესკიჟიე-ლეხი ...................... 4:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი






# გამოვიდა ახალი წიგნი GEORGIAN MYTH-TALES

დანიელ არა ქართველი ჟურნალისტის ვალერი ჭკადუას ფსევდონიმია. ვ.ჭკადუამ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების გამგედ, საგამომცემლო სახლ „პალიტრის" ინგლისურენოვანი ყოველკვირეულის Georgia Jornal-ის მთავარ რედაქტორად.

1990 წლიდან დანიელ არა აქტიურად თარმნის და აქვეყნებს შერვუდ ანდერსონის, უილიამ ფოლკნერის, ჯეიმს თერბერისა და სხვა ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს.

წინამდებარე ინგლისურენოვანი მოთხრობების კრებულის „ქართული მითიური ამბების" წინასიტყვაობაში დანიელ არა წერს: „ყოველ ერს გააჩნია მითები, რომლებიც აყალიბებენ ამ ხალხის როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ მიდგომას იმ მოვლენისადმი, რომელსაც ზოგი ოპტიმისტი „ცხოვრებას" უწოდებს. ამ წიგნში მე შევეცადე გადმომეცა იმ მითიური აზროვნების თავისებურება, ქართველებს რომ ახასიათებს".

**წიგნის შეძენა შეიძლება „ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში.**

# ასტროპროგნოზი
## 22 თებერვლისათვის



**ვერძი** – ყურადღებით დააკვირდით გარშემომყოფებს – სავარაუდოდ, ბიზნესპარტნიორებთან ან არაკეთილისმსურველებთან ურთიერთობაში პრობლემები შეგექმნებათ. **კურო** – ვარსკვლავები შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. ჩანაფიქრის რეალიზაციას მაქსიმალურად შეძლებთ. **ტყუპები** – სახიფათო დღეა როგორც ოჯახური, ისე სამსახურებრივი კუთხით. გელით იმედგაცრუება. **კირჩხიბი** – კარიერაში წინსვლაა მოსალოდნელი. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. კეთილისმყოფელი დღეა სასიყვარულო კავშირების თვალსაზრისითაც. **ლომი** – ვარსკვლავების განლაგება თქვენთვის არაკეთილსაიმედოა. ერიდეთ კონფლიქტს მეგობრებთან და საქმიან პარტნიორებთან. **ქალწული** – სირთულეები შეგექმნებათ როგორც სამსახურში, ისე ოჯახში. ერიდეთ ურთიერთობას თქვენთვის არასასიამოვნო ადამიანებთან.**სასწორი** – კრიტიკული დღეა. მიუხედავად იმისა, რომ სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ დაქვეითებული გაქვთ, ეცადეთ, თქვენი გასაკეთებელი საქმე სხვას არ გადააბაროთ. **ღრიანკალი** – მოულოდნელად შესაძლოა ძველი პრობლემა გადაჭრათ. ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **მშვილდოსანი** – იფიქრეთ მხოლოდ საუკეთესოზე. წვრილმან პრობლემებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რადგან მათ მალე მოაგვარებთ. **თხის რქა** – რთული დღეა. ერიდეთ კონფლიქტს სამსახურშიც და ოჯახშიც. ჯანმრთელობას მიხედეთ. **მერწყული** – საუბრისას და მოქმედებისას წინდახედულობა გამოიჩინეთ. ჯანსაღი კრიტიკა პოზიტიურად მიიღეთ. **თევზები** – არაკეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. ყურადღებით გადაარჩიეთ ძველი დოკუმენტები, ვინაიდან სამომავლოდ შესაძლოა მათ ფასდაუდებელი სამსახური გაგიწიონ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# საქართველო ყველაზე მეტი წიგნის გამომცემელთა ხუთეულში მოხვდა

ბრიტანულ მა გამოცემა „ეკონომისტმა" იმ ქვეყნების სია გამოაქვეყნა, რომლებმაც 2013 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი ახალი გამოცემა დაბეჭდეს.




„ეკონომისტის" ინფორმაციით, საქართველო სიაში მეხუთე ადგილს იკავებს. საქართველოში 1.547 გამოცემა დაიბეჭდა.

ხუთეულის ლიდერი ბრიტანეთია 2.870 გამოცემით, მეორე ადგილი სლოვენიას უკავია 1.831 გამოცემით, მესამე ადგილზეა ტაივანი ასევე 1.831 გამოცემით, მეოთხე ადგილი ესპანეთს ერგო 1.626 გამოცემით და ხუთეულის ბოლო საფეხურზეა საქართველო 1.547 გამოცემით. ჩამონათვალში ჩინეთი და აშშ მეთორმეტე და მეთხუთმეტე ადგილებზე იმყოფებიან.

**ეკა ირემაშვილი**

# საკალათბურთო ჩემპიონატში დინამო და ბათუმი მდევრებს გაექცნენ



**ბათუმი – რუსთავი 91:86**
**(27:29; 18:29; 24:19; 22:9)**

აჭარულმა გუნდმა გასულ 2 ტურში განცდილი წაგებების შემდეგ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის სტატუსი დაკარგა და ცხრილის სათავეში დინამოსთან ერთად იმყოფებოდა, ხოლო რუსთავი 17 მატჩიდან 7 მოგებით ბოლოსწინა – მე-9 ადგილზე იყო.

მიუხედავად ცხრილში საკმაოდ დიდი დაშორებისა, რუსთაველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბათუმელებს და შეხვედრის უმეტეს ნაწილში ლიდერობდნენ. მეორე მეოთხედის დასასრულისკენ ქვემო ქართლური გუნდის უპირატესობამ 18 ქულა შეადგინა (56:38), თუმცა მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს და თავიდან ზედიზედ მესამე მარცხი აიცილეს.

მეორე მეოთხედის დარჩენილ ორწუთნახევარში ბათუმელებმა ჩამორჩენა 13 ქულამდე შეამცირეს, ხოლო დიდი შესვენების შემდეგ წარმატებული თამაში გააგრძელეს და ბოლო ათწუთეულის დაწყებამდე მხოლოდ 8 ქულას აგებდნენ. მატჩის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, რომელმაც ბათუმელთა გააზრებული და შედეგიანი თამაშით ჩაიარა. ლეონიდ სტეპანიშინის, ბესო ლეჟავასა და იგორ კრივცოვის შედეგიანობით აჭარულმა კლუბმა დასკვნითი ათწუთეული 22:9 მოიგო.

29 ქულით ბათუმელებს ბესო ლეჟავამ ულიდერა. აკაკი დვალიშვილმა 18 ქულა მიითვალა, ლეონიდ სტეპანიშინმა – 16. რუსთაველთაგან 23 ქულით და 15 მოხსნით საუკეთესო გახლდათ კაელ ტურპინი, გიორგი გამყრელიძის ანგარიშზე 19 ქულა, 9 პასი და 7 მოხსნა დაგროვდა.

**აკადემია – დინამო 74:79**
**(25:13; 13:32; 18:17; 18:17)**

მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა და მიუხედავად აკადემიელთა დიდი წინააღმდეგობისა, დინამოს გამარჯვებით – 79:74 დასრულდა.

აკადემიამ პირველი მეოთხედი 12 ქულით – 25:13 მოიგო, რაც ამერიკელი გამთამაშებლის, ჯეი-არ სთროუბრიჯის შედეგიანი თამაშის დამსახურება იყო. მეორე პერიოდის დაწყებასთან ერთად დინამოელთა შტურმი დაიწყო და სულ რაღაც 5 წუთში ირაკლი ხოშტარიას გუნდმა ლიდერობა მოიპოვა. ნოდარ გოგოძისა და ჯუევალ მაილსის შედეგიანობით დინამომ მეტოქე უკან მოიტოვა და პირველი ტაიმის მიწურულს 13-ქულიან ლიდერობას დაეპატრონა.

მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში აკადემიელები ცდილობდნენ დეფიციტის აღმოფხვრას, თუმცა მხოლოდ ანგარიშის შემცირებას ახერხებდნენ. საბოლოოდ 5-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა – 79:74 და დინამომ ბათუმთან ერთად სუპერლიგის ლიდერის სტატუსი შეინარჩუნა.

დინამოში 17 ქულითა და 12 მოხსნით საუკეთესო იყო გიორგი შარაბიძე. 17 ქულა დააგროვა ამერიკელმა ჯუევალ მაილსმა, ნოდარ გოგოძის ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა. აკადემიელთაგან 19 ქულით საუკეთესო ჯეი-არ სთროიუბრიჯი გახლდათ.

**სოხუმი – ქუთაისი 86:72**
**(26:24; 22:17; 12:13; 26:18)**

სატურნირო თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო. ორივე გუნდს პლეი ოფში გასვლის ამბიცია აქვს და ეს გამარჯვება ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. განსაკუთრებით კი სოხუმელებისთვის, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში ქუთაისს ცხრილში უთანაბრდებოდნენ.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და მე-4 წუთისთვის ქუთაისელები 19:10 დაწინაურდნენ. წუთშესვენებაზე სოხუმელებმა თამაშის სხვა ტაქტიკა აირჩიეს და მომდევნო 3-წუთეულში 12:0 გაქცევა მოაწყვეს, რის შემდეგაც 22:19 გალიდერდნენ. ქუთაისელთა მწვრთნელის მიერ აღებულმა წუთშესვენებამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან იმერული კლუბის მოთამაშეები ბევრ შეცდომებს უშვებდნენ და უწყინარი სიტუაციიდან ბურთებს აცილებდნენ.

თამაში სოხუმელთა მცირე ლიდერობით მიმდინარეობდა – ვაჟა კვარაცხელიას გუნდი მცირე უპირატესობას ინარჩუნებდა, მაგრამ წინ დამაჯერებლად ვერ გადიოდა. მესამე პერიოდში ქუთაისელთა ფორვარდმა გიორგი ბარბაქაძემ 3 სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ ფილიპ მილერი და ლევან ფაცაცია არანაკლები შედეგიანობით თამაშობდნენ და ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ქუთაისმა ჩამორჩენის მხოლოდ 2 ქულამდე შემცირება მოახერხა.

სოხუმმა მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა ბოლო მეოთხედში მიაყენა, რაც ქუთაისელთა შეცდომების და განსაკუთრებულად სოხუმელთა გააზრებული თამაშის დამსახურება იყო. მასპინძელთა ლიდერობამ 10 ქულას გადააჭარბა და თამაშიც ისე ჩამთავრდა, ვითარება არ დაძაბულა. სოხუმელებმა საბოლოოდ 14 ქულით – 86:72 იმარჯვეს.

მილერმა 31 ქულითა და 6 ჩაჭრით საუკეთესო შედეგი მილერმა დააფიქსირა, ლევან ფაცაციამ კი გამარჯვებულებს 24 ქულა და 7 მოხსნა მიაშველა. 13 ქულითა და 11 მოხსნით დაასრულა შეხვედრა გიორგი ჯგერენაიამ. ქუთაისში 17 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ბექა ბექაური.

**ოლიმპი – მგზავრები 64:68**
**(12:22; 12:10; 18:15; 22:21)**

გუნდებმა სეზონის პირველ ნახევარში მოგებები გაიყვეს და ორივე შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ასე იყო დღესაც. მატჩი მგზავრების 4-ქულიანი გამარჯვებით – 68:64 დასრულდა.

ბუბა ბერიშვილის გუნდი ბევრისთვის აღმოჩენაა. ახალგაზრდა კალათბურთელებისა და ლეგიონერების სინთეზი მგზავრებში ყველა სხვა გუნდზე უკეთესად განხორციელდა და შედეგიც სახეზეა. კლუბმა მიმდინარე ჩემპიონატში მე-10 მატჩი მოიგო და ცხრილში სოხუმთან მეორე ადგილს იყოფს.

რაც შეეხება მატჩს, მისი დიდი ნაწილი მგზავრების ლიდერობით წარიმართა, თუმცა ბოლო წუთებზე თამაში გათანაბრდა და ოლიმპი წინაც გავიდა. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ლესლი სმიტის, ნუგზარ აბულაძისა და ლაშა ფარღალავას შედეგიანობით ოლიმპი 61:57 დაწინაურდა, რასაც ბერიშვილის წუთშესვენება და დაცვის გამაგრება მოჰყვა. კახა ჯინჭარაძისა და რენსომის ზუსტ გარღვევებს გიორგი ორმოცაძის ზუსტი სამქულიანი მოჰყვა და მგზავრები 64:61 დაწინაურდნენ.

დარჩენილ წუთ-ნახევარში ოლიმპი ბევრს ეცადა, მაგრამ თამაშის შემობრუნება ვეღარ მოახერხა. მგზავრებში 15 ქულით ბომბარდირი კახა ჯინჭარაძე გახდა. რეჯინალდ მერფიმ ორმაგი დუბლი – 12 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა. მატჩის საუკეთესო შედეგი წაგებული გუნდის ცენტრმა, ლესლი სმიტმა დააფიქსირა – 25 ქულა, 11 მოხსნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 18 | 12 | 6 | 1294-1225 | 30 |
| 2.ბათუმი | 18 | 12 | 6 | 1424-1349 | 30 |
| 3.მგზავრები | 18 | 10 | 8 | 1296-1357 | 28 |
| 4.ქუთაისი | 18 | 10 | 8 | 1366-1322 | 28 |
| 5.სოხუმი | 18 | 10 | 8 | 1404-1283 | 28 |
| 6.ოლიმპი | 18 | 8 | 10 | 1324-1343 | 26 |
| 7.რუსთავი | 18 | 7 | 11 | 1337-1372 | 25 |
| 8.აკადემია | 18 | 3 | 15 | 1314-1508 | 21 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# სკანვორდი



1. კაზაკთა სოფელი; 2. მთიანი მხარე ჩინეთში; 3. ბუვიეს რომანი; 4. ვირის გასარეკი შეძახილი; 5. ზღვის უკან დახევა; 6. იაპონური ორთაბრძოლა; 7. მუხლმოდრეკით ლოცვა; 8. ერთგვარი დგამი; 9. მსხვილი ტყვია; 10. ისრაელის სახელმწიფო ენა; 11. მაგნიტი; 12. ცხოველური ცხიმი; 13. უნგრელი დრამატურგი (1791-1830); 14. ... ნოლტი; 15. სანელებელი; 16. სარწყავი არხი; 17. ყაჩაღ-მძარცველთა ჯგუფი; 18. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ... მიცკევიჩი; 20. ქართული ანბანის ასო; 21. გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე; 22. ნაბიჯი ბალეტში; 23. ძველბერძენი ფილოსოფოს-მათემატიკოსი; 24. „ ... ერგასის დღე"; 25. ქალაქი ესპანეთში; 26. მეჩეთის კოშკი; 27. ბუნებრივი წყალსაცავი; 28. პერგამენტის გრაგნილი; 29 ქნარი; 30. ტბა ალასკაზე; 31. პოეზიისა და ისტორიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 32. ქუთაისი ძველად; 33. პირველი ქალი დედამიწაზე; 34. ... ხაიამი; 35. თვითმფრინავის ფრთების მოძრავი ნაწილი; 36. ანჩხლი, კაპასი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სადროშო; 2. აფალინა; 3. ციხეგოჯი; 4. შერიფი; 5. ლახვარი; 8. ბაგიათი; 9. სიბარიტი; 12. ბოქსიორი; 13. გლუკოზა; 16. ხერთვისი; 17. ოლიმპია; 19. აპნისი; 20. კიუსიუ.

**თარაზულად:** 6. პაციფისტი; 7. დესპანი; 8. ბრეხტი; 10. კორსიკა; 11. კაფი; 14. ხელბურთი; 15. ექსპერტი; 18. ბეტისი; 21. პოზიცია; 22. პირსი; 23. ილიადა; 24. სიბელიუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაშვრალი; 2. პასტელი; 3. ისტრი; 4. თაკვერი; 5. სუფრული; 10. ტაბლოიდი; 11. მინგეჩაური; 12. ახალუხი; 15. ტრაიდენტი; 16. ზღარბი; 17. სახიობა; 20. ბიგლი.

**თარაზულად:** 6. მანსანარესი; 7. თავთუხი; 8. ფრიკასი; 9. ხახული; 13. რიგა; 14. ჩიბუხი; 18. ელევატორი; 19. კაშია; 21. ხიხვი; 22. ვირუსი; 23. ხაბიზგინა; 24. პრიშტინა.

# პოლონეთის მეფეთა სასახლეში საქართველო უაფხაზეთოდ არის გამოსახული

პოლონეთის მეფეთა სასახლეში საქართველო უაფხაზეთოდ არის გამოსახული. ეს არასასიამოვნო ფაქტი ისტორიკოსმა და საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ აღმოაჩინა.

**გიორგი კალანდია:**

– ძალიან არასასიამოვნო ფაქტი აღმოვაჩინე პოლონეთის მეფეთა სასახლეში! იქ, სადაც გამოფენილია კავკასიური ხალიჩები ტერეზა საჰაკიანის კოლექციიდან, კავკასიის რუკაზე ყველა დარბაზში საქართველო უაფხაზეთოდაა გამოსახული! იმედია, ამ ფაქტს სათანადო რეაქცია მოჰყვება სათანადო უწყებების მხრიდან!

გიორგი კალანდიას ამ განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს ელჩი პოლონეთში **ნიკო ნიკოლოზიშვილი:**

– ვარშავაში მყოფმა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ, როგორც ის თავის ფეისბუქგვერდზე წერს, „ძალიან არასასიამოვნო ფაქტი აღმოაჩინა.“ კერძოდ, მას პოლონეთის სამეფო სასახლის კავკასიური ხალიჩების ტერეზა საჰაკიანის კოლექციის საგამოფენო დარბაზებში საქართველოს რუკა უაფხაზეთოდ უნახავს.

იქვე ბატონი გიორგი აქვეყნებს ამ რუკის რამდენიმე ფოტოს, მათ შორის პოლონური და ინგლისური განმარტებითი ტექსტით, რომელიც მას, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, არ წაუკითხავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ სამწუხაროა, როდესაც ისტორიკოსი, სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ასე ჩქარობს და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება, რითაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

საკმარისი იყო, მას წაეკითხა მის მიერვე მოყვანილი რუკის განმარტებითი ტექსტი ინგლისურად ან დარბაზში მყოფი მუზეუმის თანამშრომლისთვის ეკითხა, რომ ზედმიწევნით გაიგებდა, რა რუკასთან ჰქონდა საქმე. კერძოდ, განმარტებით ტექსტში წერია, რომ რუკაზე აღნიშნულია ის რეგიონები, საიდანაც კოლექციაში არსებული და გამოფენილი ხალიჩები მომდინარეობენ, კერძოდ, სომხეთი, აზერბაიჯანი და სამხრეთ საქართველო.

ყველა შემთხვევაში, მინდა მადლობა გამოვთქვა ბატონი გიორგის მისამართით, მისი სიფხიზლის გამო განგაშის ზარის ესოდენ ოპერატიულად შემოკვრისათვის, მაგრამ ჩემი მოკრძალებული კოლეგიალური რჩევა იქნებოდა, კონკრეტული რუკის სამუზეუმო განმარტებითი ბარათები წავიკითხოთ.

პოლონეთში საქართველოს ელჩ ნიკო ნიკოლოზიშვილის ბრალდების საპასუხოდ გიორგი კალანდიამ განცხადება გაავრცელა:

– პოლონეთის მეფეთა სასახლეში ტერეზა საჰაკიანის ხალიჩების კოლექციის გამოფენაზე, კავკასიურ დარბაზში, მსუბუქად რომ ვთქვა, უცნაური რუკები დამხვდა! საქართველო ყველგან უაფხაზეთოდ იყო გამოსახული, თავად აფხაზეთი კი რუსეთის ფერში იყო წარმოდგენილი! ამ გულსატკენი ფაქტის გამო ფოტოების გამოქვეყნებასა და კომენტარს: „იმედია, სათანადო რეაგირება მოჰყვება სათანადო ორგანოებისაგან“, ჩვენი ელჩი პასკვილით გამოეხმაურა, საიდანაც ირკვევა, რომ მე, ისტორიკოსისა და მუზეუმის დირექტორისათვის დასანანად, განმარტებითი ბარათების კითხვა არ მცოდნია და რომ ამ ბარათის მიხედვით თურმე რუკაზე სამხრეთ საქართველო ყოფილა დახატული! ბარათის ეს განმარტება კი ელჩმა ჩემსავე ფოტოებში წაიკითხა. ის კითხულობს, მე კი ვერა.




მართლაც სამწუხაროა, რომ განათლებით ისტორიკოსმა დიპლომატმა არ იცის, რომ სამხრეთ საქართველო ასე არ იხატება! მხოლოდ აფხაზეთჩამოჭრილ ჩვენს ქვეყანას სამხრეთ საქართველო კი არა, სხვა რამე, თვალებში ნაცრის შეყრა ჰქვია! არც ისაა გასახარი, რომ აფხაზეთი ამ რუკაზე ზუსტად იმავე ფერშია, როგორშიც რუსეთი!

ბატონ ნიკოლოზიშვილთან ვირტუალურ კამათს არ ვაპირებ. მე ხშირად წამიკითხავს მისი პასკვილები კოლეგა ისტორიკოსების, არქიტექტორებისა და სხვა მრავალთა მისამართით, წამიკითხავს და არასოდეს გამჩენია სურვილი, მსგავს რამეში მიმეღო მონაწილეობა, ამიტომაც საკუთარი ნებით დავტოვე ჯგუფი „ხელოვნების ისტორიკოსები“, სადაც ის ერთ-ერთი მოდერატორი იყო! ბრწყინვალეა, როცა ელჩმა ისტორია კარგად იცის, მაგრამ, უფრო კარგია, როცა დიპლომატის ტაქტი გააჩნია და რუკებშიც ზედმიწევნით ერკვევა!

# რეზო ესაძე იუბილარია



ქართველი კინორეჟისორი და მსახიობი რეზო ესაძე იუბილარია. მას 82 წელი შეუსრულდა.

– ჩემი სიცოცხლის უკვე ტანმსხვილ ხეზე ღამეები ხეებზე მეტად შრიალებენ, რადგან ყველაფერი ღამეებში მოხდა, როცა ვისგანაც დღე მტკიოდა, ყველას ეძინა. დღეები ყრუდ მიდიან. სული ვერცერთ ყვავილობას ვერ იხსენებს. ასე მოვდივარ მწყრალი შარით, სადაც ცხელი ყინულის გაღმა გახურებული ქვები ქშუიან და დამშრალი ტალღების ფსკერზე თევზის ლანდი თამაშობს... გასახსენებელი და სათქმელი ბევრია, ძალიან ბევრი, – ამბობს იუბილარი რეჟისორი.

ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო არტისტი, მხატვართა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, მხატვარი, მსახიობი, პოეტი, ფიზიკოსი – ეს რეზო ესაძის არასრული რეგალიები და ჯილდოებია.

ალბათ, ბევრისთვის უცნობია, რომ რეზო ესაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა და ფიზიკის მასწავლებლადაც მუშაობდა. მოგვიანებით მან მოსკოვში საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ისწავლა და მისი კინოკარიერაც დაიწყო. სხვადასხვა წლებში ის მუშაობდა სტუდია „ლენფილმსა“ და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

როცა ანდრეი ტარკოვსკის ჰკითხეს, ნუთუ არ არსებობს ფილმი, რომელიც თქვენს სულიერ მდგომარეობას მიესადაგებაო, მან უპასუხა: „ჩემი უსაყვარლესი ფილმია „ერთი ნახვით შეყვარება“!

82 წლის შესრულების მიუხედავად, რეზო ესაძე დღესაც ახალ ფილმზე ჩვეული შემართებით მუშაობს.

# ვანო ტურაბელიძე დაქორწინდა



„ვოისის“ მესამე სეზონის მონაწილეებმა კონკურსში მონაწილეობასა და პოპულარობას პირადი ცხოვრების მოწყობაც იდეალურად შეუთავსეს და დაქორწინდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ანრის გუნდის წევრები აქტიურობენ.

ილა წულაძის შემდეგ პროექტის ფინალისტმა ცოლის მოყვანა ვანო ტურაბელიძემაც გადაწყვიტა და ცხოვრება თავის რჩეულს დაუკავშირა.

სასიხარულო ინფორმაცია „ვოისის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ჩვენი კიდევ ერთი მონაწილე გაბედნიერდა! „ვოისის“ შემოქმედებითი ჯგუფი ულოცავს ვანოსა და თიკოს გაბედნიერებას!

ვანომ და თიკომ უამრავი მოწონება, მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

# რუსთავის თეატრი და ქალაქის მერია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ



გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრი და ქალაქის მერია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. სიტუაციის დაძაბვა აუდიტის დასკვნამ გამოიწვია, რომელიც თეატრში არსებულ დარღვევებზე წერს.

თეატრის დირექტორ ლალი თაბაგარის განმარტებით, თეატრში ყველაფერი წესრიგშია და მისთვის გაუგებარია, რა დარღვევებზეა საუბარი. მან რუსთავის მერთან შეხვედრა არაერთხელ ცადა, მაგრამ უშედეგოდ.

თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი აცხადებს, რომ 24 სპექტაკლიდან თეატრში წარმოდგენების სანახავად მერი არცერთხელ არ მისულა. ამჟამად თეატრში შემოქმედებითი პროცესი პარალიზებულია, აღარ მიმდინარეობს რეპეტიციები და გაურკვეველია თეატრის მომავალი.

დასის წევრები მერიას სთხოვენ, სეზონის დასრულებამდე თეატრში ცვლილებები არ განახორციელოს. ამ ეტაპზე უცნობია, მოხსნიან თუ არა რუსთავის თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

მერიამ მიიღო გადაწყვეტილება თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობებიდან გადაყენების შესახებ. აუდიტის დასკვნას კატეგორიულად არ ეთანხმება რუსთავის თეატრის დირექტორი ლალი თაბაგარი, მაგრამ ამ დოკუმენტის საფუძველზე თეატრს დაფინანსება 85.000 ლარით შეუმცირდა.

დირექტორთან ერთად, რუსთავის მერთან შეხვედრის სურვილი აქვთ თეატრის დასის წევრებსაც. ისინი მერს თავიანთ საქმიანობის უხეშ ჩარევაში ადანაშაულებენ.

აუდიტის დასკვნებზე საჯაროდ არ საუბრობენ რუსთავის მერიაში. ამ ეტაპზე უცნობია, აპირებს თუ არა მერია აუდიტის მასალების პროკურატურაში გადაგზავნას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### ვარსკვლავების უცნაური და სასაცილო ფსევდონიმები



ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ დაასახელა სასაცილო და უცნაური ფსევდონიმები, რომლებსაც ვარსკვლავები სასტუმროებში რეგისტრაციის გავლისას იყენებდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბევრი ცნობილი პიროვნება ფსევდონიმის არჩევას შემოქმედებითად უდგება.

კერძოდ, მსახიობი ტომ ჰენკსი ამჯობინებს, ჰარი ლაუდერის სახელით იმოგზაუროს, ხოლო რეალიტი-შოუს ვარსკვლავი კიმ კარდაშიანი ერთხელ პრინცესა ჟასმინის სახელს ამოეფარა. მომღერალი ნიკოლ შერზინგერი სასტუმროებში ედნა კრაბაპპლის სახელით ბინავდება (ასე ჰქვია მასწავლებელს ანიმაციური სერიალიდან „სიმპსონები“).

მომღერალმა ჯასტინ ბიბერმა მაიამის ერთ-ერთ სასტუმროში რეგისტრაციის გასავლელად სერიალ „მეგობრების“ გმირის ჩენდლერ ბინგის სახელით ისარგებლა. მსახიობი ნატალი პორტმანი ასეთ დროს ლორენ ბრაუნის სახელის გამოყენებას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო „აგენტ 007“ დენიელ კრეიგი თავისი პაპის ოლვენ უილიამსის სახელით „იმალება“.

რეპერი ჯეი ზი და მომღერალი ბიონსე ერთხელ სასტუმროში ფრენკ სინატრასა და ინგრიდ ჯექსონის სახელით დარეგისტრირდნენ, ხოლო ბრედ პიტმა და ანჯელინა ჯოლიმ ფსევდონიმად მისტერ და მისის პილაფი გამოიყენეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



ვაზისუბნის IV მ/რ-ნის I კვარტლის მე-13 კორპუსის მობინადრენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სრულიად მოულოდნელად, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა მეზობელი, ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, ბატონი

**სულიკო შალვას ძე ჭალიძე**

და გულწრფელად თანაუგრძნობენ ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 21, 22 თებერვალს;
დაკრძალვა: 23 თებერვალს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ორშაბათი
22 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 10.50, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**უდაოდ ალბათ**"

08.00 დ/ფ "ანატოლიის გარგარი" 09.00 მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" 10.30 დ/ფ "საბერძნეთი - ათენი" 11.00 ქართ. მხ/ფ "**ნამდვილი თბილისელები**" 12.30 დ/ფ "ჩეხეთის რესპუბლიკა" 13.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "**კაცი ჩანთით**" 02.10 მხ/ფ "**ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ**" (ვ.ალენი) 03.40 ერთხელ საქართველოში 05.00 მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯუნგლებში**" (ა.ბროუდი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ქ.მხ/ფ. "3+3" 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 Discovery ფულის საიდუმლო 10.00, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 10.30, 2.20, ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 15.30 Discovery ფილმების მეცნიერება 16.30 აირჩიე კაბა 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 მხ/ფ "**შავი ბედი**" 0.25ID Extraსასჯელს თითქმის გავექეცი 1.25, URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი 06.45 ქართული ალბომი 07.20 დ/ფ "ჟურნალისტის დღიური-ვლაქერნას სამოსელი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**მამლუქი**" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.55 სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" II ნაწ. 16.45 დ/ფ "აღდგომა თებერვალში-წმინდა გაბრიელი" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-საზოგადო ღვთისმსახურების შესახებ 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მოკ. მხ/ფ "**სიბრძნე სიცრუისა**" 20.15 კვირიაკის სიუჟეტი "ბერი გაბრიელი" 20.40 ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი-ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებ-წინასწარმეტყველი ამოსი II ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ ხომლი "ძამის ხეობა" III ნაწ. 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, 3.30 სერ. "**სხვისი სხეული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00 სერ. "**კარმელიტა** 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ფროიდის მეთოდი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 თებერვლისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4795

ევრო — 2.7522

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5472

100 რუსული რუბლი — 3.2407

## ამინდის პროგნოზი 22 თებერვლისთვის




### კალეიდოსკოპი

## მამაკაცი, რომელიც გვინეტ პელტროუს დევნიდა, გაამართლეს



ლოს-ანჯელესის სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს 66 წლის მამაკაცი, რომელიც 17 წლის განმავლობაში დევნიდა ამერიკელ მსახიობ გვინეტ პელტროუს.

ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც ექვსი ქალისა და ექვსი მამაკაცისგან შედგებოდა, განსასჯელის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს. როგორც ნაფიცი მსაჯულების უფროსმა რაიან ოსტინმა განაცხადა, მამაკაცის ქმედებები შესაძლოა შეფასდეს, როგორც გაუთვითცნობიერებელი, მაგრამ მისი მძიმე დანაშაულთან გათანაბრება შეუძლებელია.

მსახიობმა პირველად სამართალდამცავებს დახმარებისთვის 1999 წელს მიმართა, მას შემდეგ, რაც მიიღო ამანათი, რომელშიც მოთავსებული იყო პორნოგრაფია, სექს-სათამაშოები და წერილები, რომელშიც ვინმე დანტე სოიუ მას ეუბნებოდა, რომ აპირებდა ის ცოდვებისგან გაეთავისუფლებინა. 2000 წელს სასამართლომ მამაკაცი ფსიქიკურად არანორმალურად ჩათვალა და აქედან გამომდინარე, უდანაშაულოდ ცნო. თუმცა, ამავე დროს, მას იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა.

2015 წელს მამაკაცი ისევ დააპატიმრეს, ვინაიდან, მან ისევ გააგრძელა მსახიობისთვის გზავნილების გაგზავნა.

სასამართლოს ამჟამინდელი გადაწყვეტილების გამო, უკმაყოფილება ვერ დამალა მსახიობმა.

– თავს უკიდურესად დათრგუნულად ვგრძნობ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამო, ეს გამოწვევაა ლოგიკის მიმართ და ამან გული დამწყვიტა, – განაცხადა გვინეტ პელტროუმ.

## ახალზელანდიური ბორდელი ღია კარის დღეს აწყობს




ახალი ზელანდიის ქალაქ ჰოერაში ბორდელის ხელმძღვანელობა ღია კარის დღის გამართვას აპირებს, რომლის შედეგად შემოსული თანხა ბავშვთა დახმარების საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება.

საქველმოქმედო ფონდი, სადაც უნდა გადაირიცხოს თანხა, სოციალურად დაუცველ ბავშვებს უფასო ჯანსაღი საკვებით ამარაგებს, ფონდის დამფუძნებელმა როშელ სტირმა განაცხადა, რომ მისთვის სულ ერთია, თუ ვინ გადარიცხავს თანხას მის ანგარიშზე, მთავარი ისაა, რომ ისინი მათ მხარს უჭერენ და ეხმარებიან.

ყველა მსურველისთვის დაწესებულებაში მოეწყობა ექსკურსია, ხოლო მისი თანამშრომლები ყველა დასმულ შეკითხვას უპასუხებენ.

– ბავშვებს დაეხმარება ნებისმიერი თანხა, რომლის შეგროვებასაც მოვახერხებთ, – განაცხადა გასართობი დაწესებულების მფლობელმა ნიკი ჰიუიზმა.

აღნიშნული ღონისძიების წინააღმდეგ გამოვიდნენ ქრისტიანულ-კონსერვატორული ჯგუფის წევრები. მათ მიაჩნიათ, რომ ამ ნაბიჯით ჰიუიზი ცდილობს პროსტიტუციის მიმართ დამოკიდებულების ლიბერალიზაციას და საკუთარი ბიზნესის გაფართოებას მიაღწიოს.

ღია კარის დღის გამართვის თარიღი უცნობია.

## ადიდასმა ინსტაგრამში ლესბოსური ფოტო გამოაქვეყნა

სპორტული ჩასაცმელების გერმანულმა მწარმოებელმა ფირმა ადიდასმა ინსტაგრამის აღშფოთებულ მომხმარებლებს უპასუხა იმ ფოტოსურათთან დაკავშირებით, რომელიც ერთსქესიანთა კოცნას გულისხმობს. აღნიშნული ფოტოსურათი წმინდა ვალენტინის დღეს, 14 თებერვალს იქნა გამოქვეყნებული.




ფოტოსურათზე ასახულია ორი ქალის ფეხები, რომლებსაც ფირმის მიერ გამოშვებული მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი ახალი ბოტასები აცვიათ. ერთ-ერთი გოგონა ფეხის წვერებზეა აწეული, რათა, სავარაუდოდ, მეორეს აკოცოს.

ინსტაგრამში ადიდასის მრავალმა ხელმომწერმა აღნიშნულ ფოტოს ნეგატიური შინაარსის კომენტარები დაურთო. ერთ-ერთი მომხმარებლის კომენტარს, რომ წმინდა ვალენტინის დღე მხოლოდ „ბიჭებისა და გოგონებისთვისაა“ განკუთვნილი, ადიდასის თანამშრომლებმა უპასუხეს, რომ ეს დღესასწაული „სიყვარულისთვის“ შეიქმნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

23 თებერვლიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
გაბრიელ გარსია მარკესი
იცხოვრო, რომ მოჰყვე
წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ




ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

## ზაზა ფაჩულია ორმაგი დუბლით დაბრუნდა




საოლსტარე შესვენების შემდეგ ზაზა ფაჩულია მოედანს შედეგიანად დაუბრუნდა. ფლორიდაში გამართულ მატჩში ქართველმა ცენტრმა სეზონის 23-ე ორმაგი დუბლი შეასრულა, თუმცა მისი გუნდი ორლანდოსთან დამატებით დროში 104:110 დამარცხდა.

19 სამქულიანით დალასმა გუნდის ყველა დროის რეკორდი მოხსნა, ფაჩულიას გუნდი თამაშის მსვლელობისას 21 ქულით იგებდა, თუმცა გამარჯვებამდე მაინც ვერ მივიდა. ორლანდოელებმა ბოლო პერიოდი 26:17 მოიგეს და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს. დამატებით 5-წუთეულში მასპინძლებმა ვიქტორ ოლადიპოს შედეგიანობით საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 40 წუთი დაჰყო. ქართველმა ფორვარდმა გამორჩეული შედეგი 19 მოხსნით დააფიქსირა, რაც მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ მოახერხა. ზაზამ 9-დან 3 ორქულიანი, ხოლო 8-დან 5 საჯარიმო ჩააგდო და 19 მოხსნას 11 ქულა, 3 ჩაჭრა და 2 პასი მოაყოლა. დირკ ნოვიცკი 11 ქულას დასჯერდა, ბომბარდირი კი 25 ქულით დერონ უილიამსი გახდა. რაც შეეხება ორლანდოელთა ცენტრ ნიკოლა ვუჩევიჩს, ჩერნოგორიელმა ლეგიონერმა 21 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. შეგახსენებთ, რომ საქართველო და ჩერნოგორია ერთმანეთის მეტოქეები არიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

დალასელებმა ბოლო 6 მატჩიდან მეხუთედ წააგეს და დასავლეთ კონფერენციის ცხრილში პოზიცია მოუსუსტდათ. ფაჩულიას გუნდი მე-6 ადგილს ინარჩუნებს, თუმცა პორტლენდი უკვე ძალიან ახლოსაა. მომდევნო მატჩს დალასი შინაურ ფილადელფიასთან გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ბოსტნეული მცენარე; 3. ყურძნის ბაღი; 8. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღოლი; 10. ზღვის ნაპირის ნგრევა ტალღებით; 11. უბანი თბილისში; 12. მიმიკის ოსტატური მფლობელი; 14. სოფელი გუდაუთის რაიონში; 15. ნიანგის სახეობა; 16. კაუსტიკური სოდა; 19. ქალაქი ესპანეთში; 20. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 21. უფერული ფენა მცენარის ყვავილის მტვერში.

**შვეულად:** 1. გამორჩეულად მნიშვნელოვანი; 2. დაბალი წოდება; 3. ... ორისთვის; 4. სასულის დასაწყისი ნაწილი; 5. ფერმენტი კუჭუკანა ჯირკვლის წვენში; 6. გეომეტრიული ფიგურა; 7. ძველებური მუსიკალური საკრავი; 9. მოქმედი ვულკანი იაპონიაში; 13. ქმრის ძმა; 17. სხეულის ნაწილი; 18. ვანესა ...;

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**



## იუმორი



●●●

ქმარი სახლში ღამის სამ საათზე დაბრუნდა, საძინებელში ფრთხილად შეიპარა და საათის ისრები უკან გადასწია. ამ დროს ცოლს გამოეღვიძა და ყვირილი დაუწყო:

– ნახე, რომელი საათია, აქამდე რას აკეთებდი?

– რა რომელი საათია? ჯერ თორმეტიც არ არის.

ცოლმა საათს შეხედა და მოლბა:

– რამე ხომ არ გინდა?

– წყალს თუ მომიტან...

ცოლი სამზარეულოში შევიდა, წყალი ჭიქაში დაასხა, ამ დროს თვალი საათს მოჰკრა, რომელიც სამ საათს აჩვენებდა და სასწრაფოდ საძინებელში შევარდა, მაგრამ ქმარი მომზადებული დახვდა:

– სად ხარ, ქალო, ამდენ ხანს?! მითხარი, წყლის მოტანას სამი საათი რად უნდა?!

●●●

ცოლი და ქმარი საუზმობენ; უცბად ცოლმა წვნიანი გადაისხა და წამოიძახა:

– ფუი, ღორს დავემსგავსე.

– თანაც წვნიანიც გადაისხი.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შარშან რომ მოკვდა, შენ იყაი თუ შენი ძმაი?

– ჩემი ძმა.

– უჰ, ნამეტანი გლახა ამბაია და რითი მოკვდა?

– გრიპით.

– აჰ, გრიპი არიფერია...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენს ოჯახში ვინაა უფროსი, შენ თუ შენი ცოლი?

– მე, რა თქმა უნდა.

– მაინც რით გამოიხატება შენი უფროსობა?

– ძირითად საკითხებს მე ვწყვეტ, ხოლო ცოლი – მეორეხარისხოვანს.

– მეორეხარისხოვანი რა არის?

– როდის ავდგე, როდის დავწვე, დავლიო თუ არა...

– და ძირითადი რომელიღაა?

– არის თუ არა სიცოცხლე მარსზე, ირანის ატომური პროგრამა, სირიის ომი...

●●●

საწოლში მონებივრე ქმარს ცოლი თავზე დაადგა და ეჩხუბება:

– მე შენთვის მხოლოდ კონკია ვარ!!!

– მაინც რატომ?

– ვრეცხავ, ვალაგებ, ვასუფთავებ, საჭმელს ვაკეთებ...

– მერე, რა გინდა, ხომ გეუბნებოდი, ისე გაცხოვრებ, როგორც ზღაპარში-მეთქი...

●●●

სოფლელი თბილისში ზოოპარკს ათვალიერებს, მაიმუნის გალიასთან მისული, ერთი საათი უყურებს მაიმუნს, ორი საათი, ბოლოს დაიძახებს:

– ბიჭო, ჯუმბერ, შენა ხარ?

●●●

კაცი ტბაზე თევზაობს. ამ დროს თავზე რეინჯერები დაადგებიან და ეუბნებიან:

– უნდა დაგაკავოთ!

– რათა, კაცო?

– აქ თევზაობა აკრძალულია!

– ჩემს დაჭერილ თევზს სადმე ხედავთ?

– არა...

– აბა, მაშინ ჩემს ჭიაყელას სად ვაბანავებ, რა თქვენი საქმეა!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი